აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№7 (25.185) 28 თებერვალი, 2025 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 2-7 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში - 4 გრადუსი ყინვა-1 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 766 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია მცირე ნალექი.

პრემიერ-მინისტრი ქობულეთში დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად შექმნილ შტაბში იმყოფებოდა

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან ერთად, ქობულეთში დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად შექმნილ შტაბში იმყოფებოდა

უწყების ცნობით, მთავრობის მეთაური აჭარაში არსებულ ვითარებას და იმ ღონისძიებებს გაეცნო, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციით ახორციელებს.

როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ აღნიშნა, აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები და აჭარაში სიტუაცია სრულ კონტროლზეა, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი გზა უკვე გაწმენდილია, აღდგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და კომუნალური სერვისების მიწოდება. მათივე ინფორმაციით, აღინიშნა, რომ გარკვეული გამოწვევები ჯერ ისევ რჩება მაღალმთიან აჭარაში, თუმცა ადმინისტრაციულ ერთეულებამდე მისასვლელი გზების გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად გრძელდება და მაქსიმუმი გაკეთდება მოსახლეობის საჭიროებების მოკლე ვადებში დასაკმაყოფილებლად.

მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და ყველა სამსახურს, რომლებმაც დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრაზე ოპერატიულად იზრუნეს.

„გავეცანით აჭარაში არსებულ მდგომარეობას. ამ დღეების განმავლობაში ინტენსიურად წარიმართებოდა სამუშაოები. პრობლემები ყველაზე მეტად იყო ბათუმში, ქობულეთში, ასევე ხელვაჩაურში, თუმცა ინტენსიური სამუშაოების შედეგად გზები არსებითად გაწმენდილია. რაც შეეხება ელექტროენერგიის მიწოდებას, არის ლოკალური შემთხვევები, თუმცა, როგორც გვითხრეს, მაქსიმუმ ხვალისთვის ყველგან იქნება ელექტროენერგია ჩართული. სამუშაოები ინტენსიურად წარიმართება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კანონმდებლებმა 2025 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი დაამტკიცეს

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის პლენარული სხდომა დიდთოვლობით გამოწვეულ ვითარებაზე საუბრით დაიწყო აჭარის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ. დავით გაბაიძემ ყველა უწყებას, რომელიც ჩართულია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში და ზრუნავს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე, მადლობა გადაუხადა

მისივე განცხადებით, აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს საჭირო სამუშაოები, მობილიზებულია ყველა შესაბამისი სამსახური, სპეცტექნიკა და ადამიანური რესურსი.

სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ცოტნე ანანიძემ, ვახტანგ ბერიძემ, ფრიდონ ფუტკარაძემ, მამუკა თურმანიძემ მუნიციპალიტეტებში არსებულ ვითარებაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ყველა სამსახური ორიენტირებულია მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქებაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, სხდომაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარადგინა. კანონმდებლებმა, გამარტივებული წესით (ერთი მოსმენით), განიხილეს და მცირე ტექნიკური შენიშვნის გათვალისწინებით მიიღეს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ კანონებში შესატანი ცვლილებების პროექტები. ჯაბა ფუტკარაძის განცხადებით, კანონპროექტები განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად, ახალი, კულტურის სამინისტროს შექმნას ითვალისწინებს. უწყება 43 522 ათასი ლარით დაფინანსდება და ბიუჯეტის კანონის პროექტში, სათანადო ჩანაწერთან ერთად, შესაბამისი კოდებიც გაჩნდა.

ჯაბა ფუტკარაძემ, სხდომაზე, მესამე საკითხად 2025 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი წარადგინა. კანონის პროექტის თანახმად, ბიუჯეტი 28 420, 0 ათასი ლარით იზრდება და 908 520,0 ათასი ლარით განისაზღვრება. იცვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი ასიგნებების მოცულობა, ასევე, საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები და შემოსულობები. გაზრდილი ბიუჯეტი მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების ზრდის შესაძლებლობას იძლევა: ამდენად, 4,9 %-ით იზრდება და 150 029,0 ათასი ლარია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტი. 23%-იანი მატება აქვს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - უწყების ბიუჯეტი 80 მილიონ ლარს აჭარბებს, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში, რომელიც 36 მილიონ 820 ათასი ლარია, მუხლობრივი ცვლილებებია. გაზრდილია განათლებისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტი, რომელიც 117 მილიონ ლარს აჭარბებს. მომხსენებლის განცხადებით, ეკონომიკური ზრდის ტენდენცია, სამომავლოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის მილიარდ ლარამდე გაზრდის რეალურ საფუძველს ქმნის.

ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების, რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროგრამებისა და პროექტების წარდგენის შემდეგ, კანონმდებლებმა 2025 წლის კორექტირებული რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტი 11 ხმით დაამტკიცეს.

მორიგი სხდომა – ბათუმის საკრებულოში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

27 თებერვალს ბათუმის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს, მანამდე კი გაკეთდა განცხადებები და შეფასებები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კერძოდ, დიდთოვლობით გამოწვეულ პრობლემებზე.

„ქართული ოცნების“ წევრებმა მადლობა გადაუხადეს მერიას და შესაბამის სამსახურებს იმისთვის, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ისინი ქალაქის ტერიტორიაზე მუშაობდნენ და თოვლის საფარისგან ასუფთავებდნენ როგორც გზის სავალ ნაწილს, ასევე სხვა პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავდნენ, რასაც არ დაეთანხმა ოპოზიციის წევრი საკრებულოში ვაჟა დარჩია. მან განაცხადა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაცხადებული 80 ერთეული ტექნიკა ფიზიკურად ვერ იმუშავებდა ქალაქის ტერიტორიაზე, რადგან ამდენი ქალაქს საერთოდ არ ჰყოლია. ვაჟა დარჩიამ საკრებულოს სხდომაზე გააკრიტიკა მერია და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ქალაქის ქუჩების დროული გაწმენდა თოვლისგან. მისივე თქმით, ქალაქში არ არიან დაცული ადამიანები შენობებიდან ჩამოვარდნილი თოვლის მასიგან.

- ოთხი დღის განმავლობაში ვერ შევძელით, მობილიზება გაგვეკეთებინა ქალაქში და ტრანსპორტს შეუფერხებლად ევლო. ყველაფერი უნდა გადაგვედო იმისთვის, რომ ადამიანებს ყოველდღიური ლუკმისთვის ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება ჰქონოდათ. ეს უნდა ყოფილიყო მერიის პირველი ვალდებულება. 80 ერთეული ტექნიკა მუშაობდაო... კარგად ვიცით, რომ ეს ტყუილია.

იხ. 32-ე 33.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარა 103

სტიქია და პრობლემები საქართველოში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06
ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მიმდინარე კვირა საქართველოს მოსახლეობისთვის რთული აღმოჩნდა. დიდთოვლობამ ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში პრობლემები შექმნა

უხვი ნალექი მოვიდა მაღალმთიან აჭარაში. ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მაღალი ზონის სოფლებში თოვლის საფარი ორ მეტრს აღწევს, ხოლო დაბალ ზონაში 1 მეტრია.

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით, მაღალმთიან აჭარაში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები.

ზვავი ჩამოწვა ხიჭაური-ნაღვარევის გზაზე, სოფელ ცხემლისის მონაკვეთზე, რის გამოც გადაადგილება შეიზღუდა და წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულის 5 სოფელი (ნაღვარევი, ინწკირვეთი, ბრილი, ჟანივრი, ხაბელაშვილები) დენის გარეშე დარჩა.

შეფერხებები იყო დაბა შუახევში. წყალსადენის დაზიანების გამო ადგილობრივებს სასმელი წყალი არ მიეწოდებოდათ გარკვეული დროის განმავლობაში, თუმცა ამჟამად პრობლემა ნაწილობრივ აღმოფხვრილია და დაბის მცხოვრებლებს წყალი გრაფიკით მიეწოდებათ.

შუახევში იწმინდება გზები, მუშაობს საავტომობილო დეპარტამენტის, სატყეო ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის 15 ერთეული ტექნიკა. სამივე მუნიციპალიტეტის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში შეწყვეტილია საწავლო პროცესი. შენობა-ნაგებობები არ დანგრეულა. გამართულად მუშაობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. სოფლებში საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი სარგებლობის შენობები და დამატებითი სათავსოები თოვლის საფარისგან იწმინდება. სამივე მუნიციპალიტეტში მოქმედებს საგანგებო შტაბები, შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა. მობილიზებულია სამაშველო სამსახურები.

„უხვმა ნალექმა პრობლემები შექმნა მაღალმთიან აჭარაში. შესაბამისად, მიმდინარეობს ყველა ადმინისტრაციულ ერთეულამდე მისასვლელი გზის გაწმენდითი სამუშაოები. შეფერხებებია ელექტრომომარაგების კუთხით, თუმცა ჩვენ კოორდინირებულად ვმუშაობთ როგორც ცენტრალურ საავტომობილო დეპარტამენტთან ერთად, ასევე ენერგოკომპანიასთან, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ ჩვენი მოქალაქეების პრობლემები როგორც ელექტრომომარაგების, ისე გზემომარაგების კუთხით“, - განაცხადა მედიასთან საუბარში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

რაც შეეხება ქალაქ ბათუმს, თოვლის საფარმა და უხვმა ნალექმა დააზიანა არაერთი ავტომობილი, საცხოვრებელი სახლი და მწვანე ნარგავები. აღსანიშნავია ისიც, რომ 26 თებერვლიდან აღდგა სანდასუფთავების მანქანების მუშაობა და დაიწყო ნარჩენების გატანა. უხვი ნალექის გამო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში კვლავ შეჩერებულია სასწავლო პროცესი. როგორც რესურსცენტრში აცხადებენ, მოსწავლეები გაცდენილ საათებს გამოდარების შემდეგ აანაზღაურებენ.

ბათუმში გუშინ ნაწილობრივ აღდგა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, რაც დიდთოვლობის გამო შეჩერებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფონზე მოსახლეობა საუბრობს ტაქსის გაძვირებულ ტარიფებზეც.

რაც შეეხება გზების გაწმენდით სამუშაოებს, ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის თქმით, ქალაქში ქუჩების გაწმენდა აქტიურად მიმდინარეობს.

მეტაქსას ქუჩაზე ავარიული საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა, ნანგრევებში ორი ადამიანი მოჰყვა, რომელთა უსაფრთხო ადგილზე გამოყვანა მაშველებმა შეძლეს. მერიაში აცხადებენ, რომ შენობა წლებია ავარიულია და აღნიშნულის დამადასტურებელი სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაც არსებობს. მერიის ინფორმაციითვე, აღნიშნული შენობის გარდა, სტიქიამ ბათუმში 10-მდე სახლი დააზიანა.

„იმ ოჯახებს, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ, გავიყვანთ ქირით. მეტაქსას ქუჩასთან ერთად, სხვა რამდენიმე მისამართზე დაზიანებულია საცხოვრებელი სახლების სახურავები. სადაც სახლები საცხოვრებლად გამოუსადეგარია, ყველა ეს ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება სათანადო საცხოვრისით და გაყვანილი იქნება ქირით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ“, - განაცხადა აჭარის ტელევიზიასთან საუბარში ბათუმის ვიცე-მერმა ნუკრი დეკანაძემ.

დიდთოვლობამ 15 ოჯახი დააზარალა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტშიც.

„რამდენიმე ოჯახს საცხოვრებელი სახლის სახურავი უხვმა თოვლმა ჩამოუშალა და დაუნგრია. მერია შესაბამის ოჯახებს უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფს და ზარალს აუნაზღაურებს,“ - ვკითხულობთ ხელვაჩაურის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უხვი ნალექის შედეგად ქალაქ ქობულეთსა და მიმდებარე სოფლებში დაზიანდა საცხოვრებელი სახლები, შეზღუდვებია ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და სასმელი წყლის მიწოდების კუთხითაც. ამ დროის მონაცემებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში 20 საცხოვრებელი სახლია დაზიანებული.

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებში, მუნიციპალიტეტთან ერთად, ჩართულია საგზაო დეპარტამენტის 17 ერთეული ტექნიკა.

თოვლის საფარმა ორ მეტრს გადააჭარბა გურიაში, სადაც ამ დროისთვის ყველაზე რთული ვითარებაა. სოფლების დიდი ნაწილი გარესამყაროსაა მოწყვეტილი. მოსახლეობის ნაწილს არ აქვს საკვები და წამლები.

„სადაც არის რთული მონაკვეთები, მიმდინარეობს მძიმე ტექნიკით გზის გაწმენდითი სამუშაოები. ჩვენი მეხანძრე-მაშველები და, ასევე, თავდაცვის ძალები აქტიურად არიან ჩართულები და ძალიან დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს მოქალაქეებს. მინდა დავამშვიდო ჩვენი მოქალაქეები და ვუთხრა მათ, რომ აუცილებლად ყველა ზომა იქნება მიღებული, ყველა რესურსი იქნება გამოყენებული, რომ დაცული იყოს მათი უსაფრთხოება და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში შევძლოთ ყველა იმ პრობლემის და გამოწვევის გადაჭრა, რაც მათი და ჩვენი რეგიონის წინაშე დგას“, - განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის რეგიონში გიორგი ურუშაძემ. მისივე თქმით, სამუშაოები 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

სამწუხაროდ, გურიაში დიდთოვლობას მოჰყვა მსხვერპლიც. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში მამაკაცი უბედური შემთხვევის შედეგად, მეზობლის სახლის სახურავის გადათოვლისას, დაიღუპა.

ოზურგეთში მოსახლეობის დახმარების მიზნით შექმნილია საკოორდინაციო შტაბი.

გურიაში ჩავიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძეც.

„მაქსიმალურად, სადაც საჭიროება იქნება, უზრუნველვყოფთ მოსახლეობას სურსათით, მედიკამენტებით. ძალიან აქტიურად მუშაობენ სასწრაფო დახმარების ბრიგადები. აქამდე არ გვაქვს არცერთი კრიტიკული შემთხვევა, როდესაც იყო გადაუდებელი აუცილებლობა და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ვერ შეძლო ადგილზე მისვლა. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში სასწრაფო დახმარების ბრიგადები ახერხებდნენ ადგილზე მისვლას და სასწრაფო დახმარების გაწევას“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

გურიის დასახმარებლად გაერთიანდნენ მოხალისეებიც, რომლებიც მოსახლეობას უწმენდენ გზებს, მათთან მიაქვთ საკვები, სასმელი და მედიკამენტები.

დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების პროცესში ჩართულია თავდაცვის ძალები. შესაბამისი ბრძანება 25 თებერვალს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ გამოსცა. თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები ექვს მიმართულებაზე მუშაობენ.

„ჯარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში პირადი შემადგენლობითა და შესაბამისი ტექნიკით არის ჩართული. თავდაცვის ძალების წარმომადგენლები შსს-ს სამაშველო სამსახურთან, მოსახლეობის დახმარების მიზნით, მუდმივ კოორდინაციაშია“, - აცხადებენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

ქრონიკა

პირველი მარტიდან, აჭარაში ცალკე იფუნქციონირებს კულტურის სამინისტრო, ცალკე კი განათლებისა და სპორტის სამინისტრო, რომელსაც მოქმედი მინისტრი მაია ხაჯიშვილი უხელმძღვანელებს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაინიშნება კულტურის მინისტრად. ცვლილება, რომლითაც განათლებისა და კულტურის სამინისტროები გაიყო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე განხორციელდა.

* * *

25 თებერვალს, საბჭოთა ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ზაზა შავაძესთან და ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან ერთად პატივი მიაგო და ყვავილებით შეამკო იუნკერთა მემორიალი.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი განახლდება 4 მარტს.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 75 წლის იუბილეს ულოცავს შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჩოხოსანთა საზოგადოების წევრს, ფილოლოგს, ხელვაჩაურის კულტურის ცენტრთან არსებული სარფის ლაზური ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელს, აკაკი წერეთლისა და ზურაბ გორგილაძის ლიტერატურული პრემიების ლაურეატს იაშა თანდილავას. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და შემოქმედებით დატვირთულ წლებს.

* * *

„ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელი მზია ამაღლობელი კლინიკა „ვივა მედიდან“ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს, - განცხადება ამის შესახებ „საიამ“ გაავრცელა და დასძინა, რომ აღნიშნული როგორც შიმშილობის პერიოდში, ასევე ახლაც, მზია ამაღლობელის გადაწყვეტილება იყო. ამასთან, მათივე ინფორმაციით, ამაღლობელს სურს, ადვოკატებთან ერთად, პირადად მიიღოს მონაწილეობა 4 მარტს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაგეგმილ პროცესში.

* * *

აჭარის მთიანეთში მოსულმა თოვლმა ჩახერგა ყველაფერი. ნადირი და ფრინველები სოფლებს მოაწყდნენ. იშვიათობა არაა, გზებზე საკვების საძებრად გამოსულ გარეულ ცხოველებს რომ წააწყდე. განსაკუთრებულად რთული პერიოდი შველებს დაუდგათ. მათზე მგლები და ძაღლებიც კი ნადირობენ. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საკრებულოს კუთვნილი ავტომანქანის მძღოლი გურამ პატარიძე დილაადრიან, ხიჭაური-შუახევი საავტომობილო გზაზე, ზვავში მოყოლილ შვლის ნუკრს წააწყდნენ. დროულად რომ არ მიშველებოდნენ, უწყინარი ცხოველი ტურების ლუკმა გახდებოდა. შიშისგან ღონემიხდილი, უმწეო შველი ზვავიდან ამოიყვანეს და თავისუფლება დაუბრუნეს.

რატომ ცდილობს ტრამპი, სწრაფად გადაჭრას უკრაინის პრობლემა?

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

სამი წელია, უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი მიმდინარეობს. განადგურებული ქალაქები და სოფლები, ასიათასობით დახოცილი და დაჭრილი, მილიონობით ლტოლვილი, იავარქმნილი ინფრასტრუქტურა სწორედ იმას ცხადყოფს, რომ რუსეთის მთავარი ამოცანაა უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, გაქრობა

დასავლეთის მკაფიო მხარდაჭერა რომ არა, ცხადია, უკრაინა ვერ შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. ახლა ამ ქვეყანაში პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობს, გარკვეულწილად, ომი გაიყინა. გაცხადდა, რომ აშშ-ს სურს ომის დასრულება. ტრამპის განცხადებებმა ზელენსკის მისამართით არა მხოლოდ უკრაინა, არამედ მთელი ევროპა შეაშფოთა. უკრაინის ვითარებაზე დიდადაა დამოკიდებული ევროპის, ასევე, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მომავალი... რა ადგილს დაიჭერს საქართველო მომავალ გეოპოლიტიკურ რუკაზე? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (ჯიპა) დოქტორანტი ***კობა ჯუმშუშაძე.***

- სამი წელია, რაც უკრაინაში ომი მიმდინარეობს, რა შეიძლება ითქვას ამ მიმართებით?

- ამ ომის ცხელ ფაზაში გადასვლა, რაც 2022 წლის თებერვლიდან დღემდე პერიოდს გულისხმობს, მიმდინარე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გეოპოლიტიკური კატაკლიზმია ევრაზიის კონტინენტზე. მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის კონტექსტში, ეს ომი, სამწუხაროდ, იგივე ან უფრო მსხვილი მასშტაბის ტრაგიკული მოვლენაა, როგორიც იყო 2001 წლის 11 სექტემბერი. აღნიშნულ მოვლენას პირველი ომები, ასევე, ევრაზიის კონტინენტზე, უშუალოდ ავღანეთსა და ერაყში მოჰყვა. შედეგად, ვიცით, რომ მსოფლიო აღარასოდეს ყოფილა ისეთი, როგორიც 11.09-მდე იყო. იმავე ეფექტის მომცემია უკრაინაში მიმდინარე რუსეთის ომის სამი წელი მსოფლიოს გეოპოლიტიკური წესრიგისთვის. მე მხოლოდ ერთ-ერთ ძირითად განსხვავებას გავუსვამ ხაზს - თუ ერაყისა და ავღანეთის ომების შემთხვევაში, ჩვეულებრივი დამკვირვებლისთვის აღრეული იყო მსხვერპლისა და თავდამსხმელის როლები, ადამიანებს არ ესმოდათ, რატომ უნდა ებრძოლათ სხვადასხვა ქვეყნის მისიებს ავღანეთსა თუ ერაყში, ამ შემთხვევაში მსხვერპლისა და აგრესორის როლები უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი. ვინც საკითხს ობიექტურად ჩაუღრმავდება, ადვილად გაერკვევა ამ ძირითად მოცემულობაში.

- ომის რა ფაზაა ახლა უკრაინაში?

- მე, როგორც არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური მიმომხილველის სტატუსის მქონე ადამიანი, ვერაფერს გეტყვით უშუალოდ სამხედრო მოქმედებების ფაზების შესახებ, მაგრამ შეგვიძლია, ხაზი გავუსვათ რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის მქონე ფაზას. მცდარია მოსაზრება, რომ ყველა ომი მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან სრულდება. ამ მოსაზრებას ხშირად ვაწყდებით ევროპელი სამხედრო თუ პოლიტიკური მიმომხილველების ნააზრევში. ასეთ დროს სულ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი, ამა თუ იმ წითელი ხაზების გადაკვეთის ლოგიკიდან გამომდინარე, რუსეთთან ომის წარმოების „რომანტიზებას“ ახდენენ, ამასობაში კი ომი უამრავ არაპროგნოზირებად ფაზაში ინაცვლებს და დიდი ხანია გასცდა იმ მილიტარისტულ და პოლიტიკურ ფაზებს, როცა გვექნებოდა საფუძველი, გვევარაუდა, რომ მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან დამთავრდება, ან მხოლოდ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებით მოიპოვებს რომელიმე მხარე საბოლოო უპირატესობას. ფაქტია, რომ კრემლმა ამ დროისთვის ჯერ ვერ მიაღწია 2022 წლის 24 თებერვალს დაანონსებულ ე. წ. „დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის“ მიზნებს. უფრო პირიქით, მან მიიღო უკეთ მილიტარიზებული და სახელმწიფოს შენარჩუნების იდეის ირგვლივ გაერთიანებული მილიონობით უკრაინელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ომის ახლანდელი ფაზა პოლიტიკურად არის არა უშუალოდ ომში ჩართული მხარეების, არამედ მათი მოკავშირეების რეაქციებზე დამოკიდებული ფაზა.

- ცხადია, დასავლეთის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო უკრაინისთვის, მაგრამ ამ დახმარებით რამდენად იყო შესაძლებელი ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია?

- ომის ამ ფაზის დაწყების მეორე-მესამე

დღიდან მუდმივად ვიმეორებდი, რომ მთავარია უკრაინას გაეძლო პირველი ორი კვირა ან დაახლოებით ერთი თვე, შემდგომ - თვე, რათა თავად უკრაინა და მსოფლიო გამოსულიყო პირველადი შოკიდან, შემდეგ კი კრემლი მიიღებდა საკმაოდ დიდ სამხედრო და პოლიტიკურ დარტყმას ამ „ავანტიურიდან“. არავინ იცის, ეს ომი როდის და როგორ დასრულდება, მაგრამ რეალობისთვის თვალის გამსწორებელი ყველა დამკვირვებლისთვის დაინგრა მითი მსოფლიოს „მეორე არმიის“ შესახებ. ლამის კიევთან მისულ რუსულ არმიას ჯერ უკან დახევა მოუწია, ახლა კი პოზიციური ბრძოლების ფაზაში ყოფნა უწევს, ცოცხალი ძალის აუნაზღაურებელი დანაკარგებით. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ ეს იყო რუსული ტაქტიკა, მაგრამ რა ვუყოთ ასეთ კითხვას: როგორი ტაქტიკოსი ხარ, თუ ეს გიჯდება ასიათასობით ჯარისკაცის სიცოცხლედ, ომი გიგრძელდება მინიმუმ სამ წელიწადს, სამხედრო შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის დამატება გიწევს, მინიმუმ, ირანისა და ჩრდილოეთ კორეისგან და რატომ განვითარდა ეს მოვლენები ზევით აღწერილი შედეგების შესაბამისად? იმიტომ, რომ უკრაინულ მზაობას, დაეცვა თავი აგრესორისგან, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, თუმცა მაინც, თან ერთვის დასავლეთის მხარდაჭერა. სხვანაირად, რა თქმა უნდა, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ნაწილობრივი დეოკუპაციაც.

- როგორც ცნობილია, ტრამპი მსოფლიოს დაჰპირდა, რომ ომს უკრაინაში შეაჩერებს, მაგრამ საკითხავია, მისი გეგმა, რეალურად, ვის საზიანოდ იმოქმედებს?

- როგორც ტრამპის საუბრებიდან იკვეთება, მისი საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული შეხედულებები, მინიმუმ, ვერბალურ დონეზე, ძალიან ამბივალენტურია. ერთ ინტერვიუში შეუძლია ამტკიცოს, თითქოს ომის წამოწყებაში რუსეთი არაფერ შუაშია, მეორე ინტერვიუში კი თქვას, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. ბოლოდროინდელ განცხადებებში ის ძალიან არათანმიმდევრულია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის მოქმედებებშიც ასეთივე ამბივალენტური და არათანმიმდევრული იქნება. არჩევნების დღემდე ის ამტკიცებდა, რომ ორ დღეში დაასრულებდა ამ ომს, მაგრამ არა მხოლოდ არჩევნებიდან ორ დღეში, არამედ ოფიციალური ინაუგურაციიდან ერთ თვეზე მეტ პერიოდშიც კი გაურკვეველია ომის დასრულების მისეული გეგმის მონახაზები. ფაქტია, რომ მას, როგორც აშშ-ის პრეზიდენტს, კონსტიტუციურად მართლაც ხელეწიფება ამ ომის სწრაფი ან შენელებული დასრულება, თუმცა აქ ნიშანდობლივია არა უბრალოდ ომის დასრულება, არამედ მისი დასრულება უკრაინისთვის უსაფრთხოების გარანტიებით. იმ კონსტიტუციის არსის მიხედვით, რომელზედაც არის დაფუძნებული აშშ-ის სახელმწიფოებრიობა (იგულისხმება კონსტიტუციური ლიბერალიზმის განვრცობა) და რომლის ერთგულების ფიციც აქვს ტრამპს დადებული, არ მოიაზრება მოქმედება დამნაშავისა და მსხვერპლის გემოვნებისამებრ. ეს ძირს გამოუთხრიდა დემოკრატიის თავად ამერიკულ მოდელსაც კი. თუ მან ეს ფიცი დაარღვია, ბუნებრივია, ეს იქნება მსოფლიოში დემოკრატიის საზიანო და კრემლისტური ტირანიის განვრცობის სივრცის შემქმნელი.

- ამას წინათ საუდის არაბეთში აშშ-ისა და რუსეთის დელეგაციები შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით, სადაც უკრაინული მხარე არ იყო წარმოდგენილი, ეს რისი მანიშნებელია?

- ბუნებრივია, ერ-რიადში საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა აღნიშნული ომიც იქნებოდა, თუმცა იმდენად, რამდენადაც ეს იყო ტრამპის ახლად არჩეული კაბინეტის წევრების და რუსული დელეგაციების პირველი პირისპირ საუბარი, ამაში, უკრაინისა თუ ევროკავშირის წარმომადგენელთა დაუსწრებლობის თვალსაზრისით, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ მოლაპარაკებათა მთელი წყება ჯერ ისევ წინაა და აქ ვინმეს გამორიცხვასა თუ უარყოფაზე საუბარი ნაადრევია.

- „ტრამპმა ევროპას სამკვირიანი ვადა მისცა უკრაინის კაპიტულაციისთვის, თუ ეს არ მოხდება, აშშ გაიყვანს ჯარს ევროპიდან“, განაცხადა ევროპარლამენტარმა ფინეთიდან მიკა აალტოლამ, რას ფიქრობთ?

- დიახ, ითქვა ეს, თუმცა რამდენიმე ევროპულმა მედიაპლატფორმამ, რომელმაც ამის შესახებ ინფორმაცია გააჟღერა, იქვე ისიც დაურთო, რომ ბატონ აალტოლას მიერ X-ზე (ადრინდელ ტვიტერზე) გამოქვეყნებულ ახალ ამბავს, არავითარი დამამტკიცებელი წყაროო არ ერთვის. ამიტომ რთულია, ვისაუბროთ ამ ინფორმაციის რეალურობაზე, რაობასა და მიმდინარე პროცესებზე მის გავლენაზე. ეს არც დასტურდება და არც გამორიცხება. ფაქტია, რომ მიუნხენის უსაფრთხოების ბოლო კონფერენციის ფონზე, განსაკუთრებით, ვიცე-პრეზიდენტ ვენსის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ამერიკისა და ევროპული ქვეყნების ურთიერთობა, სტრატეგიული თანამშრომლობის კუთხით, ახალ ეტაპზე გადადის. ეს რიტორიკა, ბუნებრივია, არ გამორიცხავს, პირიქით, მოსალოდნელს ხდის, რაღაც დროის შემდეგ ამერიკული ბაზების მოცულობის შემცირებას ან სრულ გასვლას ევროპის კონტინენტიდან. ამას თან ახლავს, როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური მოლოდინები ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის. ნეგატიურია უსაფრთხოების ამ ბერკეტების მყისიერი გამოცლა ტრადიციული მოკავშირეებისთვის, თუმცა პოზიტიურია ის, რომ ეს მოკავშირეები ნათლად დაინახავენ თავიანთი უსაფრთხოების გარანტიებს არა ტრანსატლანტიკურ ჭრილში, არამედ გააცნობიერებენ, რომ თავი თვითონ უნდა დაიცვან. ამის შესახებ უკვე დიდი ხანია საუბრობს საფრანგეთის ხელისუფლება მაკრონის სახით და ასეთივე მკაფიო განცხადებები გააკეთა ფრიდრიხ მერცმა, რომელიც 23 თებერვლის არჩევნების შედეგად კანცლერის პოსტს დაეუფლა გერმანიაში. მან ისაუბრა და ხაზი გაუსვა იმას, რომ ევროპას ჰყავს ორი ბირთვული სახელმწიფო, რომლებსაც შეუძლიათ ერთგვარი ბირთვული უსაფრთხოების ქოლგის შეთავაზება უკრაინისთვის და პოტენციურად, გერმანიის ჩართვაც ბირთვულ პროგრამაში. ასევე, ის მზაობას გამოთქვამს უკრაინისთვის ოლაფ შოლცის მიერ ტაბუდადებული, შორ მანძილზე მოქმედი, გერმანული წარმოების „ტაურუსის“ რაკეტების გადაცემაზე. ასე რომ, გრძელვადიან პერიოდში, ხაზს ვუსვამ - საშუალო ან/და გრძელვადიან პერიოდში, აშშ-ის ჯარების გაყვანა ევროპიდან შეიძლება აღმოჩნდეს ევროპული სამხედრო და თავდაცვითი ძლიერების აღდგენის სტიმულატორი, თავად აშშ-სთვის კი რამდენადმე დამაზიანებელი.

- რუსეთი სხვადასხვა ხერხს მიმართავს უკრაინის წინააღმდეგ, მაგალითად, პუტინი აცხადებს, რომ ზელენსკი არალეგიტიმური მმართველია, მსგავსი განცხადება ტრამპმაც გააკეთა...

- ერთ-ერთი თქვენი კითხვის პასუხად უკვე ვთქვი ამის თაობაზე, რომ ტრამპი საკმაოდ ამბივალენტურია საგარეო პოლიტიკის შესახებ გაკეთებულ განცხადებებში. შესაბამისად, ეს განცხადებაც უფრო ვერბალური შეტევის ნაწილად მესახება და ვფიქრობ, მას საკმაოდ კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ზელენსკი არჩეული პრეზიდენტია და უკრაინის კონსტიტუციის უზენაესობის ფარგლებში მოქმედებს. ერთ-ერთი მიზეზი ამ განცხადებისა შეიძლება ისიც იყოს, რომ ასე ზელენსკი შედარებით უფრო ადვილად დაიყოლიოს სასარგებლო მინერალებისა და წიაღისეულის შესახებ აშშ-სეული ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომელიც მისი ხაზინის მდივანმა სკოტ ბესენტმა ჩაიტანა კიევში და რომელსაც ზელენსკი ნიშანდობლივი შესწორებების გარეშე ხელს არ აწერს.

- ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ აშშ-ს და რუსეთსაც, თავისთავად, სურთ უკრაინის ხელისუფლებაში ისეთი ლიდერი მოვიდეს, რომელიც, გარკვეულწილად, რუსეთის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს?

- ეს ნამდვილად ასეა. ზელენსკის სამხედრო და პოლიტიკური პოზიციები ორივე მათგანს ჯერ შიდა პოლიტიკური პოპულარობის თვალსაზრისით უქმნის პრობლემას, მერე კი წინა პლანზე იწევს საგარეო პოლიტიკის საკითხები, სადაც, ასევე, ორივესთვის პრობლემაა უკრაინის ომის დასრულება-ვერდასრულების საკითხი. თუ შევხედავთ შიდაპოლიტიკურად - ტრამპი ამომრჩეველს ომის მყისიერ დასრულებას დაჰპირდა და ჯერ ვერ ასრულებს ამ დანაპირებს, რაც მის პოლიტიკურ ეგოსა და პოპულარობას ურტყამს აშშ-ში. ხოლო პუტინს შიდაპოლიტიკურად, მართალია, ომი პოპულარობას უნარჩუნებს, მაგრამ ხვდება, რომ დასავლეთის უკრაინისადმი დახმარების შემთხვევაში, მისი რესურსები არაა ამოუწურავი. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ ჭრილს, აქ ტრამპი ცდილობს სწრაფად გადაჭრას უკრაინის პრობლემა და გადაერთოს ჩინეთის შეკავების პოლიტიკაზე, ისე, რომ არ გააძლიეროს ჩინეთ-რუსეთის კავშირი, რადგან ჩინეთთან პოტენციურ დაპირისპირებაში რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანი იქნება მისთვის, ხოლო პუტინისთვის, როგორც მისივე საუბრიდან ვიცით, მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო სსრკ-ის დაშლა. უკრაინის საკითხის მოგვარების გარეშე ამ კავშირის მსგავსი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა რომ შეუძლებელია, ამას კარგად აცნობიერებს.

- ამ მიმართებით როგორი ჩანს ევროკავშირის პოზიცია?

- ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფოდან 25-ის (უნგრეთისა და სლოვაკეთის გამოკლებით) პოზიცია, საკმაოდ ნათელია. განსაკუთრებით ყურადსაღებია „ვაიმარის სამკუთხედის“, იგივე გერმანია-საფრანგეთ-პოლონეთის პოზიცია. ეს ქვეყნები, გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად (რომელიც აღარაა კავშირის წევრი, მაგრამ ევროპული პოლიტიკისა და ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია), ახლაც წამყვან ქვეყნებად მოიაზრებიან ევროპის კონტინენტზე. შესაბამისად, ისინი კარგად აცნობიერებენ იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საფრთხეებს, რომლებიც უკრაინის ფრონტზე რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში შეიძლება წარმოიქმნას. გერმანიის 23 თებერვლის არჩევნების შემდეგ, უფრო მკაფიო იქნება მათი პოზიცია და გზავნილები როგორც ამერიკის, ასევე რუსეთის მიმართულებით. დაველოდოთ ამ არჩევნების შედეგებს.

- რამდენად მოსალოდნელია, რომ ომის შეწყვეტის ან დროებითი ზავის შემდეგ რუსეთმა უკრაინაში შიდა განხეთქილება შეიტანოს და დასავლეთს რა ბერკეტი აქვს ამ მიზნის აღსაკვეთად?

- კრემლი უკვე ათწლეულებია, აწარმოებს და, ზოგ შემთხვევაში, წარმატებითაც, „ჰიბრიდულ ომებს“ არა მხოლოდ ყოფილ საბჭოთა, არამედ ვარშავის პაქტის ყოფილ წევრ ქვეყნებში. შესაბამისად, არა მხოლოდ ომის შეწყვეტის ან დროებითი ზავის შემთხვევაში, არამედ, მინიმუმ, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში, ის ამ სტრატეგიაზე უარს არასდიდებით არ იტყვის. ამიტომ უკრაინა მუდმივად იქნება კრემლისთვის შიდა განხეთქილების შეტანის ობიექტი. ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთის ძირითადი ბერკეტი, იდეალურ შემთხვევაში, იქნება ის, რაც ითვალისწინებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის, აღმოსავლეთ პარტნიორობის, ტრანსატლანტიკური კავშირის განმტკიცებას, ყველა იმ თანმდევი ეკონომიკური, სოციალური თუ თავდაცვითი პროგრამებით, რომელთა დანერგვასაც ცდილობდნენ ევროკავშირი და აშშ უკრაინის ომის ახლანდელი ფაზის დაწყებამდე თავად უკრაინაში, საქართველოში თუ სხვა მეზობელ ქვეყნებში. ეს ასეა იმიტომ, რომ თუ რამე აფერხებს კრემლის დეკლარირებული მიზნებისა და ჰიბრიდული ომების განვრცობას, სწორედ ასეთი ბერკეტებით ხდება ეს ყველაზე ეფექტურად.

- ცნობილია, რომ ყველა ომის შემდეგ ხდება მსოფლიოს ახალი გადანაწილება, ამ მხრივ მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით და ამ თვალსაზრისით საქართველოს მომავალი როგორი გესახებათ?

- სამწუხაროდ, საქართველოს მომავალი დიდწილადაა დამოკიდებული უკრაინაში მიმდინარე ომის გადაწყვეტის პერიპეტიებზე. მოდი, ასე ვთქვათ: რაც უფრო მეტად დასუსტებული გამოვა რუსეთი ამ ომიდან, მით უფრო მეტი შანსი აქვს საქართველოს, შეინარჩუნოს სახელმწიფოებრიობა, განვითარდეს და განმტკიცდეს ის ღირებულებები, რაც ჩვენს კონსტიტუციაშია დაშიფრული და ამას თან დაერთოს უსაფრთხოების სტანდარტების ისეთი ამაღლება, რომელიც მოგვცემს უშიშრად შრომის და გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობებს.

ნინო ცხვარაძე: როგორ დავუჯერო გვარამიას, მელიას, ხაზარაძეს, ხოშტარიას და მათ თანაგუნდელებს?!

ირმა ცეცხლაძე 577 20 45 63

ნინო ცხვარაძე - ბათუმის საკრებულოს წევრი, პარტიის „ხალხის ძალა“ წარმომადგენელი „აჭარასთან“ საუბრობს ქალაქში არსებულ პრობლემებზე, პოლიტიკურ დაპირისპირებებზე, რადიკალური ოპოზიციის პოზიციასა და საკრებულოს წარმატებულ პროექტებზე. მისი თქმით, „ოცნების ქალაქში“ დატრიალებული ტრაგედია ყველასთვის შემზარავი და მტკივნეულია, ხოლო ამის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება - ამაზრზენი.

- ბათუმის საკრებულოში „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიით შეხვედით, თუმცა დღეს საკრებულოში „ხალხის ძალას“ წარმოადგენთ...

- 2022 წელს საქართველოს პარლამენტში „ქართული ოცნება“ თავდაპირველად სამმა დეპუტატმა დატოვა და მოძრაობა „ხალხის ძალა“ ჩამოაყალიბა, თუმცა მოგვიანებით, მოძრაობას არა მხოლოდ პარლამენტიდან, საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებიც შეუერთდნენ. ერთი წლის შემდეგ იგი პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. იმთავითვე გაჟღერდა, რომ „ხალხის ძალა“ საკუთარ თავზე აიღებდა და მოსახლეობას ეტყოდა სიმართლეს, იმას, რასაც მმართველი გუნდი ვერ იტყოდა. „ხალხის ძალას“ თავიდან ამერიკის მაგინებლები უწოდეს, რადგან სწორედ ამ ძალამ დაიწყო საუბარი ქვეყნის სუვერენიტეტზე, რომ საქართველო გარე ძალებს დაუპირისპირდებოდა და მათ ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევის უფლებას არ მისცემ-

„დღეს უკვე გვაქვს ამბიცია, ყველას დავანახოთ, როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ოპოზიცია. ოპონირება, რატომღაც ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა ხელისუფლების არაჯანსაღმა და არაკონსტრუქციულმა ოპოზიციამ, მხოლოდ ლანძღვა-გინებით უნდა შემოიფარგლებოდეს. შორს არ წავალ და ბათუმის საკრებულოს მაგალითზე გეტყვით, საკრებულოს სხდომებს ოპოზიციის უმრავლესობა თვეების განმავლობაში არ ესწრება“

და. ბუნებრივია, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორისთვის, რომლებსაც წლების განმავლობაში აფინანსებდა და მართავდა უცხო ძალები, „ხალხის ძალა“ მისაღები ვერ იქნებოდა. გახსოვთ ალბათ, „გამჭვირვალობის კანონი“, თავდაპირველად „ხალხის ძალამ“ დააინიცირა, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მაშინ ვერ ჩასწვდა კანონის არსს, რადგან სწორედ უცხოური გავლენის და დაფინანსების ენჯეოებმა კანონის მიმართ უარყოფითად განაწყვეს და საპროტესტო აქციების ორგანიზება მოახერხეს. პირველი აგრესია სწორედ მაშინ წამოვიდა „ხალხის ძალის“ მისამართით, თუმცა დღემდე მაქვს კითხვა, გამჭვირვალობაში რას ხედავდნენ უსამართლოს? დიახ, მაშინაც ვამბობდი და დღესაც გავიმეორებ, როცა უცხო ქვეყნიდან სოლიდური თანხები შემოდის, საქართველოს მოქალაქეებს გვაქვს უფლება ვიცოდეთ, რა მიზანს ემსახურება დაფინანსება. თუ დასამალი არაფერია, მაშინ არც კანონი უნდა უქმნიდეს ვინმეს დისკომფორტს. პრინციპში, ეს თემა აქტუალური აღარაა, რადგან ხელისუფლებამ შეძლო „გამჭვირვალობის კანონის“ მიღება. დღეს, ოპოზიცია ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტს აუგად რომ მოიხსენიებს, რატომღაც პრობლემას არ წარმოადგენს, მათ შორის, არც ამერიკის საელჩოსთვის. სწორედ აქ იკვეთება ორმაგი სტანდარტი - თუკი ტრამპის პოლიტიკა, განცხადებები და გადაწყვეტილებები არაა თანხვედრაში ოპოზიციის დღის წესრიგთან, მათი მხრიდან შტატების მისამართით განცხადებების გაკეთება შესაძლებელი ყოფილა. თუ გახსოვთ, თავის დროზე სალომე ზურაბიშვილიც არ გახლდათ მათთვის მისაღები პრეზიდენტი, ისიც გემახსოვრებათ, როგორ მოიხსენიებდნენ მას, მაგრამ შემდეგ ოპოზიციამ საკუთარ ლიდერადაც კი აღიარა. მოკლედ რომ ვთქვათ, თანაცხოვრება გვიწევს საზოგადოების იმ უმცირესობასთან, რომლისთვისაც მხოლოდ უცხოური გავლენაა მისაღები და ყველაფერი ქართული უკანა პლანზე გადასწია. სხვა რა ვთქვა, ეს ის ხალხია, მამა რომ ავიწყდებათ და მამინაცვლის მზეს იფიცებენ.

- „ხალხის ძალა“ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციაში გადავიდა.

- დიახ, ასეა. თუ ჩვენ თავის დროზე დავრჩით უმრავლესობაში, დღეს უკვე გვაქვს ამბიცია, ყველას დავანახოთ, როგორი უნდა იყოს ჯანსაღი ოპოზიცია. ოპონირება, რატომღაც ასეთი ტრადიცია დაამკვიდრა ხელისუფლების არაჯანსაღმა და არაკონსტრუქციულმა ოპოზიციამ, მხოლოდ ლანძღვა-გინებით უნდა შემოიფარგლებოდეს. შორს არ წავალ და ბათუმის საკრებულოს მაგალითზე გეტყვით, საკრებულოს სხდომებს ოპოზიციის უმრავლესობა თვეების განმავლობაში არ ესწრება, რასაც პოლიტიკურ გამართლებას უძებნიან ბოიკოტის რეჟიმის მომიზეზებით. თუმცაღა, არა მგონია ამომრჩეველს მათთვის ნდობა არაფრის კეთებისთვის გამოეცხადებინოს. ამომრჩეველის წინაშე აღებული ვალდებულება ნიშნავს იმას, რომ მათ პრობლემებზე და საჭიროებებზე უნდა იმუშაონ. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ქალაქის საკრებულო არ არის ადგილი, საიდანაც გლობალურ პოლიტიკაზე უნდა ისაუბრო. ამისთვის არსებობს სხვა ტრიბუნა. ქალაქის საკრებულომ ქალაქსა და ქალაქელებზე უნდა იზრუნოს. ოპოზიციის ნაწილი სხდომებზე მოდის მხოლოდ პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად, მერე თავიანთი გამოსვლების ჩანაწერებს სოციალურ ქსელში ათავსებენ და თავს აწონებენ ლიდერებს. როგორ დავუჯერო ოპოზიციას, რომ გულწრფელია, როცა გაზრდილ ბიუჯეტს მხარს არ უჭერს, იმ ბიუჯეტს, სადაც ასახულია როგორც სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტები. თქვენ ერთხელ მაინც მოგისმენიათ მათი მხრიდან, რომ ქალაქის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება და მოსახლეობას, განსაკუთრებით ჯანდაცვის მიმართულებით, ხელი მიუწვდება ისეთ პროგრამებზე, რაც მათი ჯანმრთელობის ხარისხს გააუმჯობესებს?!

- პროგრამები ახსენეთ და, მოდით, მოსახლეობას უთხარით მათ შესახებ.

- მერიის ჯანდაცვის სამსახური, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი გამორჩეულია. ეს სამსახური მუდმივად მუშაობს, რომ ბათუმელებისთვის ჯანდაცვა და სოციალური მიმართულება ხელმისაწვდომი იყოს. ძალიან ბევრი პროგრამაა და ამ პროგრამებით სარგებლობენ ყველა ასაკის და შემოსავლის მქონე ადამიანები. დეტალებში არ შევალ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი ვარ, უმჯობესი იქნება ამ პროგრამებზე მერიის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრონ, რადგან იქ არიან კომპეტენტური ადამიანები. მე კი ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ გარდა სახელმწიფო სკრინინგის პროგრამებისა, ბათუმის მერიამ ბათუმელებისთვის დამატებით შეიმუშავა სკრინინგის პროგრამები. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და ბათუმელებს ვუთხრა, დაავადების დროული გამოვლენა შემდგომი გართულებებისგან დაგიცავთ. ამიტომ ისარგებლეთ სკრინინგის პროგრამებით, გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ბათუმის მერის სარეზერვო ფონდი, წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ადამიანების დახმარებაზე იხარჯება. საინტერესოა, დღევანდელ ოპოზიციას ჰკითხოთ, რაში ხარჯავდნენ და ვის ხმარდებოდა სარეზერვო ფონდიდან თანხები? დღევანდელი ხელისუფლებისთვის მთავარი ადამიანი რომ არის, გასული წლის ოქტომბერში, კიდევ ერთხელ, ამიტომაც უთხრეს მოძალადე, კაცთმოძულე ოპოზიციას უარი და კვლავაც მოქმედ ხელისუფლებას ანდეს ქვეყნის მართვა. რაც უნდა იძახონ, რომ არჩევნები გაყალბდა, მათი ტყუილის არავის სჯერა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც ჩანიშნულია ოქტომბერში. მანამდე არანაირი არჩევნები არ ჩატარდება. რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს მათთვის ეს საკითხი, უნდა შეეგუონ ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანს.

- რა პრობლემების წინაშე დგას დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური სპექტრი?

- უკვე აღვნიშნე და კვლავაც გავიმეორებ, რომ საკრებულოს წევრი არ უნდა იყოს დაკავებული მხოლოდ პოლიტიკური განცხადებების კეთებით, თუმცა, ბუნებრივია, მაქვს საკუთარი მოსაზრებაც და პოზიციაც. ნათელია, რომ ოპოზიცია ვერ ჩამოყალიბდა და ვერ შეჯერდა ერთ პოზიციაზე. მოხდა ისე, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მხოლოდ გახარიას პარტიამ არ შეიტანა განცხადება მანდატების გაუქმებაზე და არც სიები ჩახსნეს. დანარჩენი ოპოზიცია, როგორც ჩანს, იმედს იტოვებდა, რომ მუხლებში ჩაუვარდებოდნენ და ხვეწნას დაუწყებდნენ, ქვეყნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებში მუშაობა გააგრძელეთო. რაკი მუშაობა არ სურთ და პრინციპში, წლების განმავლობაში ან დესტრუქციით იყვნენ დაკავებულები, ან ბოიკოტის რეჟიმში იყვნენ, სწორ გზაზე დააყენა ხელისუფლებამ და გაუშვა იქ, სადაც მათი ადგილია - ქუჩაში! ხელისუფლებას კი კონსტრუქციულ ოპონირებას „ხალხის ძალა“ გაუწევს.

- მოსახლეობა ორად გაიყო და სიძულვილის ენა დამკვიდრდა საქართველოში, რაც ანგრევს როგორც ხალხს, ისე სახელმწიფოს. რა მიგაჩნიათ ამ დაძაბულობის განმუხტვის ძირითად მექანიზმად?

- სიძულვილის ენით მხოლოდ საკუთარი ხალხის და ქვეყნის მოძულე ოპოზიცია საუბრობს. ბულინგიც მათი შინაგანი მდგომარეობაა. სამწუხაროდ, განსხვავებული აზრის მიმღებლობა არ აქვთ და თუ არ ეთანხმები, ხარ მონა, მოღალატე... არადა, საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ოპოზიციის ლუსტრაცია მოახდინა. სწორედ რომ ემონებიან თავიანთ ბატონებს. როგორ უნდა გძულდეს სამშობლო, რომ დარბოდე მის საზღვრებს გარეთ და იხვეწებოდე, საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებები მიიღეთო. სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი შეცდომაში შეიყვანეს და თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს, თუმცა მიზანს ვერ მიაღწიეს. როგორ უნდა დავუჯერო გვარამიას, მელიას, ხაზარაძეს, ხოშტარიას და მათ თანაგუნდელებს?! ისინი ხომ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ყველაფერზე წამსვლელები არიან, მაგრამ ქართველი ხალხი ბრძენია. დაძაბულობას განმუხტავს მხოლოდ წინა რეჟიმის გასამართლება. პროცესი დაწყებულია და ხალხიც ელოდება ამას. მართალია, ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, თუმცა ხელისუფლების წინააღმდეგ უშველებელი მანქანა მუშაობდა და რეჟიმის გასამართლებაზე მნიშვნელოვანი უცხო ძალების გავლენისგან ქვეყნის გათავისუფლება, მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნება იყო. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, მალე პოლიტიკურ სანაგვეზე გადაინაცვლებენ ქვეყნის შიდა მტრები, ხალხიც ამოისუნთქავს და ქვეყანაც.

- რამდენად დასაშვებია ვადამდელი არჩევნები სიტუაციის დასარეგულირებლად?

- მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ცხადყოფს, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნა უცხო ძალების კარნახით იყო განპირობებული. არჩევნები ჩატარდება, თუმცა არა ვადამდელი, არამედ როგორც კანონი ითვალისწინებს - ადგილობრივი თვითმმართველობის და ოქტომბერში კვლავაც უარს ეტყვის ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობა არაჯანსაღ ძალებს.

- საკრებულოს უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილ პროექტებზე რას იტყვით?

- ქალაქისთვის ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. გახსოვთ ალბათ, ბაგრატიონის ქუჩის კეთილმოწყობა რომ მიმდინარეობდა, ოპოზიციას მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავდა, რომ ეს პროექტი არ დასრულდებოდა, თუმცა დღეს, როცა ეს ქუჩა კეთილმოწყობილია, ხმას არ იღებენ. ჩვენ ყველამ უნდა შევძლოთ კარგზე კარგის თქმა და ცუდზე - ცუდის. რატომ გავიხსენე ბაგრატიონის ქუჩა? დღეს ქალაქის მთავარი ქუჩა კეთილეწყობა. ქვაფენილის ნაცვლად ასფალტის საფარი დაიგება, რაც მოსახლეობის მოთხოვნა იყო. ამასთან, ქალაქში უკვე გვაქვს ახალი ყინულის სასახლე. ქალაქში კეთდება არა ფასადური, არამედ მოსახლეობის ინტერესების შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ბათუმელებს მინდა ვთხოვო, მოვითმინოთ. მესმის, რომ განსაკუთრებით დისკომფორტი შეექმნათ მძღოლებს, თუმცა სამომავლოდ კარგი საქმე გაკეთდება.

- როგორ დააკომენტარებდით „ოცნების ქალაქში“ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას, რომელსაც ორი ბავშვის დაღუპვა მოჰყვა?

- „ოცნების ქალაქში“ დატრიალებულმა ტრაგედიამ საქართველო შეძრა. არადა, სწორედ აჭარის მთავრობის მოქმედმა თავმჯდომარემ შეძლო იმ უმნიშვნელოვანესი პროექტის წამოწყება, რამაც იქ მცხოვრებთა ცხოვრების ხარისხი გააუმჯობესა. სხვას შეიძლება არა, მაგრამ თქვენ ხომ გახსოვთ, არაერთი სტატია მაქვს ამ საკითხზე გაზეთში მუშაობის პერიოდში მომზადებული და არქივიც არსებობს. ბატონი თორნიკე რიფვაძე მივიდა პირველად „ოცნების ქალაქში“ და ადამიანებს პირობა მისცა, რომ იქ მცხოვრებ ყველა ოჯახს ღირსეული საცხოვრებელი პირობები ექნებოდა. მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა შეასრულა. უმნიშვნელოვანესი და მასშტაბური სოციალური პროექტის ერთი ეტაპი განხორციელდა და მეორეც მალე დაიწყება. მჯერა, „ოცნების ქალაქში“ დატრიალებული ტრაგედია განსაკუთრებით მტკივნეული ბატონი თორნიკესთვის იყო, რადგან მახსოვს, როცა ის პირველად მივიდა თვითნებურად დასახლებულებთან, თქვა, რომ ყველა ბავშვი იქნებოდა ბედნიერი, რომ მათი ოცნებები ახდებოდა. ტრაგედიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება კი ამაზრზენია.

საბავშვო ბაღებსა და სკოლებში სასწავლო პროცესი 4 მარტს განახლდება

ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ინფორმაციით, რეგიონში არსებული მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 4 მარტს განახლდება, ამავე დღეს დაიწყება სასწავლო პროცესი აჭარის რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი კაბელი, მწვანე ენერგიის წარმოების შესაძლებლობები და... ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალი

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

„შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზი - ევროინტეგრაცია, ტერიტორიული მთლიანობა და შუა დერეფნის მდგრადობა. 21-ე საუკუნის მესამე ათწლეული სხვა გლობალურ მოვლენებთან და ცვლილებებთან ერთად, ენერგეტიკული ასპექტითაც ღირსშესანიშნავია. გლობალურმა კატაკლიზმებმა და ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომმა განსაკუთრებით გამოაჩინა ენერგეტიკის პოლიტიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა. მიუხედავად სასიცოცხლო გამოწვევებისა, ევროპა მტკიცედ ადგას მწვანე ენერგეტიკის შეთანხმების პოლიტიკას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის გზას“ - ამ საკითხზე ანალიტიკურ ცენტრ „ჯეოქეისის“ მრჩეველი ენერგეტიკული კომუნიკაციის საკითხებში გურამ ნიკოლაშვილი გვთავაზობს საინტერესო ნაშრომს, სადაც ევროპასთან ინტეგრირების და აფხაზეთთან კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას განიხილავს.

გურამ ნიკოლაშვილი ამტკიცებს, რომ წიაღისეული საწვავის შემცირება ისედაც წარმოადგენდა ეკოლოგიური პოლიტიკის პრიორიტეტს, რაც არათუ შეიცვალა რუსეთის მიერ ომის გაჩაღების შემდეგ, არამედ გაუარესდა, რადგან ზედ აგრესორის წინააღმდეგ შემოღებული სანქციებიც დაერთო, სანქციები კი ყველაზე მეტად სწორედ ენერგომატარებლებს ეხება, რომლის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას რუსეთი არაერთი წელია, მიმართავს. შექმნილმა ვითარებამ გვაჩვენა, რომ ევროპას მწვანე ენერგიის წარმოებასთან ერთად, იგივე პროდუქციის იმპორტისთვის საიმედო დერეფნები სჭირდება. ეს ვითარება სრულიად ახალ შესაძლებლობებს უხსნის მთელ რიგ ქვეყნებს, რომელთა შორისაც საქართველოს საკვანძო ადგილი უჭირავს - საქართველოს, რომელიც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი რგოლია.

ანალიტიკოსის აზრით, საქართველო თავადაცაა ევროპის მწვანე შეთანხმების ნაწილი. გარდა ამისა, ქვეყანა ასოცირების ხელშეკრულებისა და ევროპული პერსპექტივის მოთხოვნათა მიხედვით, მთელ რიგ რეფორმებს ახორციელებს, რომელიც კლიმატის ცვლილებაზეა გათვლილი და ევროპული სტანდარტის დანერგვას გულისხმობს. გარდა ევროპასთან საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე ჰარმონიზაციისა, საქართველოს თვითონაც ესაჭიროება ელექტროენერგიის გენერაციის მოცულობების გაზრდა, რასაც სწორედ მისი ბუნებრივი რესურსით, ანუ განახლებადი ენერგიით უნდა მიაღწიოს.

„განვითარების ამგვარი გზის შედეგად კი ქვეყანაში იზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ, ტექნოლოგიურ და საინჟინრო კადრებზე, ენერგეტიკისა და გარემოს სპეციალისტებზე. იზრდება მოთხოვნა მაღალანაზღაურებად და მაღალტექნოლოგიურ სპეციალისტებზე. ენერგეტიკის სექტორს უჩნდება შესაძლებლობა, გახდეს მდგრადი და თვითკმარი განვითარების მაგალითი და ხორცი შეასხას სრული საწარმოო ციკლის გენერაციას ობიექტების ადგილობრივი რესურსებით ამუშავებიდან საბოლოო მოხმარების პროდუქტის გამოშვებასა და მიწოდებამდე. ენერგეტიკული თვალსაზრისით მსგავსი წინაპირობის გაჩენა მყისიერ მოთხოვნას აჩენს სათანადო განათლებასა და მაღალანაზღაურებადი კადრების მომზადებაზე“, - ამბობს ბატონი გურამი.

იგი კიდევ ერთ უპირატესობად ენერგეტიკის დარგში თვლის კონკურენტუნარიანობას. მისი თქმით: „ევროპის ბაზრის პოლიტიკა მწვანე ენერგიის პრიორიტეტის შესახებ, ნახშირბადის გადასახადის დაწესება და განახლებადი რესურსის წახალისებისკენ მიმართული ნაბიჯები, საქართველოს, როგორც მწვანე და განახლებადი ენერგიის მწარმოებელ ქვეყანას, კონკურენტულ პირობებში აქცევს. ქვეყანას შეუძლია მწვანე ენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი. მწვანე ენერგიით დამზადებული პროდუქცია ევროპის ბაზარზე დამატებითი გადასახადის გარეშე ხვდება, რაც მისი ფასის კონკურენტუნარიანობას ზრდის. ყველა წინაპირობა ერთად საქართველოს ენერგეტიკულ ჰაბად გარდაქმნას უქადის, ეს კი ზრდის ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას“.

„ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის საოცნებო მდგომარეობაა, თუმცა სრულად ენერგოდამოუკიდებლობისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმს ვერცერთი ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს. ამის მიუხედავად, ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ მეტი დამოუკიდებლობის მიღწევას, რისკების დივერსიფიცირებას, ენერგიის სტაბილურ წარმოებას, ვაჭრობას და ტრანსპორტირებას. აღნიშნული მიმართულებებით ძალისხმევას კი მივყავართ ენერგეტიკული უსაფრთხოების კონცეფციამდე. ენერგეტიკული უსაფრთხოება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ხარისხიანი ენერგიის საიმედო და უწყვეტ მიწოდებას ქვეყნის ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ ფასად, ეროვნული უსაფრთხოების და მდგრადი განვითარების ინტერესების დაცვით, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მიიღწევა მიწოდების რისკების და გარე დამოკიდებულების შემცირებით, ენერგორესურსების, მიწოდების წყაროების და მარშრუტების დივერსიფიკაციით და ენერგოსისტემის მედეგობის ამაღლებით. ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ენერგოეფექტიანობის გაზრდასთან, ადგილობრივი წიაღისეული და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებასთან, სტრატეგიული რეზერვების, ენერგოსისტემის მოქნილობისა და ენერგობაზრების განვითარებასთან“, - ამბობს გურამ ნიკოლაშვილი.

მისივე თქმით: „წიაღისეული სათბობის მარაგების სიმწირის პირობებში, განახლებადი ენერგიის წყაროები საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მთავარი საშუალებაა. საქართველოს განახლებადი ენერგიის წყაროები წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და რეგიონული მნიშვნელობის ენერგეტიკულ პოტენციალს, რომელიც ენერგეტიკული უსაფრთხოების, განვითარების, თანამშრომლობის და კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია. ქვეყნის მდგრადი ენერგომომარაგება მოითხოვს ქვეყანაში განახლებადი ენერგეტიკული რესურსების კომპლექსურ და ეფექტიან ათვისებას.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეისათვის განვითარებული ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკა კლიმატის ცვლილების კონტექსტში განიხილება. ევროპის მწვანე შეთანხმება (EU Green Deal) ევროკავშირის ახალი ინიციატივაა, რომლის მიზანია 2050 წელს ევროპა გახდეს პირველი ნახშირბადნეიტრალური კონტინენტი. შუალედურ სამიზნე მაჩვენებლად დასახულია სათბური აირების გაფრქვევების შემცირება 55%-ით 1990 წელთან შედარებით, 2030 წლისთვის, ხოლო 2050 წლამდე უნდა მოვაღწიოთ სრულ ნახშირბადნეიტრალურობას, ანუ სათბურის გაზების ნეტო გაფრქვევების მაჩვენებელი ნულის ტოლი უნდა იყოს. 2022 წელს დამტკიცებული გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის, ევროკავშირში მოხმარებული მთლიანი ენერგიის 45% უნდა მოდიოდეს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან“.

> ***„წიაღისეული სათბობის მარაგების სიმწირის პირობებში, განახლებადი ენერგიის წყაროები საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მთავარი საშუალებაა. საქართველოს განახლებადი ენერგიის წყაროები წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და რეგიონული მნიშვნელობის ენერგეტიკულ პოტენციალს, რომელიც ენერგეტიკული უსაფრთხოების, განვითარების, თანამშრომლობის და კლიმატის ცვლილების შერბილებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია***

აქვე ენერგეტიკოსი საკმაოდ საინტერესო აზრს გვიზიარებს: „ევროპაში უახლოეს მომავალში უფრო და უფრო გაიზრდება მოთხოვნა მწვანე ენერგიაზე, ადგილზე წარმოებასა და იმპორტზე. შავი ზღვის ფსკერზე გაჭიმული ელექტროენერგიის გადამცემი კაბელის ჩადება კი საქართველოს სრულიად ახალ შესაძლებლობებს უხსნის.

შავი ზღვის ელექტროგადამცემი კაბელი, მწვანე ენერგიის წარმოების შესაძლებლობები, კიოტოს პროტოკოლით გათვალისწინებული კვოტების გამომუშავება და ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალი ინვესტორთათვის უაღრესად მიმზიდველ ფაქტორებს წარმოადგენს. საქართველო ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციას სერიოზულად განამტკიცებს და წიაღისეული საწვავის ტრანზიტორი ქვეყნიდან დამატებით ელექტროენერგიის მწარმოებელ და გადამცემ ქვეყნადაც გადაიქცევა. ყველა ეს ფაქტორი განამტკიცებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და მის დამოუკიდებლობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წლიური ანგარიშის საჯარო წარდგენისას განაცხადა, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთანავე საქართველო მზადაა, აფხაზეთში 10 მილიარდი ლარი ჩადოს. სადღეისოდ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბიუჯეტი დაახლოებით 200 მილიონ დოლარს ითვლის. სამშვიდობო გეგმისა და ორმხრივი შეთანხმების რეალიზება მთელ რიგ აუცილებელ ნაბიჯებს საჭიროებს, რისთვისაც ქვეყანამ მზადება უკვე უნდა დაიწყოს. საქართველოს მხრიდან დაწყებული შერიგებისა და თანხმობის პოლიტიკა თავის ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს, დაახლოების განზრახვა კი პრაქტიკული ნაბიჯების წარმოჩენასაც გულისხმობს.

საქართველოს ჰიდროელექტროენერგეტიკის გული „ენგურჰესია“. ეს ელექტროსადგური ქვეყნის ელექტროსისტემის სტაბილურობასა და ჰიდროგამომუშავების 25%-ს უზრუნველყოფს. გარდა მისი ენერგეტიკული მნიშვნელობისა, ობიექტი დღეს სოხუმისა და თბილისის ერთადერთი ოფიციალური სამუშაო ფორმატია. „ენგურჰესის“ ჯვრის წყალსაცავი მდებარეობს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საზღვარზე, ხოლო ჰესის სამანქანო განყოფილება - აფხაზეთის მიწისქვეშა ტერიტორიაზე. ჰესში გამომუშავებული ელექტროენერგია წინასწარ შეთანხმებული კვოტების თანახმად ნაწილდება აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. სადგურის ოპერირებას აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფო კომპანია „ენგურჰესი“ უზრუნველყოფს“.

გურამ ნიკოლაშვილი საუბრობს პერსპექტივებზე: „საქართველოში განახლებადი ენერგიის განვითარება ბუნებრივად წარმოადგენს აფხაზეთისთვის ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება ქვეყანამ გამოიყენოს ბუნებრივი რესურსი, მოიზიდოს ინვესტიციები, შექმნას ათასობით სამუშაო ადგილი, მაღალანაზღაურებადი ტექნოლოგიური სამსახურები, უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარება და სხვა სექტორებისთვის აუცილებელი ენერგორესურსი საკუთარი გენერაციით მიიღოს. რაც მთავარია, საქართველოს უჩნდება შესაძლებლობა, გამომუშავებული რესურსი პირდაპირი გზით გაიტანოს ევროპაში. შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზი რამდენიმე წელიწადში დასახულ გეგმას რეალობად აქცევს. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ ეს უკანასკნელი ცივილიზებული სამყაროდან მოკვეთილ სახელმწიფოდ აქცია. აფხაზური მხარე ხედავს, რომ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკა განვითარებაზე, კეთილდღეობასა და ევროინტეგრაციაზეა ორიენტირებული, მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკა ურთიერთობის აღდგენის ახალ შესაძლებლობებს აჩენს, ამავე დროს საქართველოს ენერგეტიკული და ეკონომიკური განვითარება იმ კვაზი-სახელმწიფოს მდგომარეობის გაუარესებასაც უქადის, რომელშიც დღეს იმყოფება.

ქვეყნის ენერგეტიკაში ახალი ინვესტიციები, ეკონომიკური აღმავლობა, დაანონსებული ასობით მეგავატის დადგმული სიმძლავრის გაჩენა, ევროპასთან ელექტროკაბელით პირდაპირი ტრანზიტი და ვაჭრობა ენგურჰესზე დამოკიდებულებას და საქართველოსთვის მის სასიცოცხლო მნიშვნელობას ამცირებს. სხვადასხვა პროექტის განვითარებით საქართველო ალტერნატიულ ენერგიას მიიღებს, აფხაზეთი კი რჩება „ენგურჰესიდან“ ყოველწლიურად სულ უფრო მცირე და მცირე რაოდენობით მიღებული დენის ამარა.

ამგვარად, რუსული აგრესიისა და საქართველოს ევროპაში განუხრელი ინტეგრაციის ფონზე, ტერიტორიული მთლიანობის და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივა შესაძლოა მყიფედ, მაგრამ მაინც გამოიკვეთოს. საქართველოს ევროპის ნაწილად ქცევა იმ პოლიტიკის, ღირებულებების, რეგულაციებისა და სტანდარტების მიღებას გულისხმობს, რომლის საფუძველზეც ევროპის კონტინენტზე არაერთი ეთნოკონფლიქტი ჩაქრა და მინავლდა. ერთიანი ევროპული ქოლგის ქვეშ მოქცეული აფხაზური საზოგადოება, რომელიც დამოუკიდებლობას ესწრაფვის, სასურველ მდგომარეობას უმალ ერთიანი საქართველოს ფარგლებში მიიღებს, ვიდრე რუსული გავლენის სივრცეში ყოფნით“.

„უკრაინამ უნდა დაივიწყოს ნატოში გაწევრიანება“

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თქმით, უკრაინას შეუძლია დაივიწყოს ნატოში გაწევრიანება.

„შეგიძლიათ დაივიწყოთ ნატოში გაწევრიანება. ალბათ ეს არის მიზეზი, რის გამოც ყველაფერი დაიწყო“, - განაცხადა ტრამპმა თეთრ სახლში კაბინეტის პირველ სხდომაზე, როდესაც ჰკითხეს, რა დათმობებზე უნდა წავიდეს უკრაინა.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აგრძელებს რეგიონის პოპულარიზაციას

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ქვეყნისა და რეგიონის პოზიციონირების მიზნით, სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას განაგრძობს. დეპარტამენტმა 2024 წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. პირველ ორ კვარტალში 20 საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. გაიმართა 300-მდე შეხვედრა ტურისტული და მარკეტინგული კომპანიების, ასოციაციების, მედიასაშუალებების, ბლოგების, სახელმწიფო უწყებებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებთან, ასევე, მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან 30 მედია და ინფოტური მოეწყო. 2025 წელიც ასევე აქტიურად გრძელდება, რამდენად დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა რეგიონში ტურისტული ნაკადის ზრდაში და როგორია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სტრატეგია? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ კოპლატაძე** გვესაუბრება.*

- ბატონო მიხეილ, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის თვალსაზრისით, როგორ დაიწყო 2025 წელი და რა არის აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მთავარი მიზანი?

- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა 2025 წელი აქტიურად დაიწყო საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის თვალსაზრისით. საერთაშორისო გამოფენები ჩვენთვის ერთგვარი პლატფორმაა მნიშვნელოვანი შეხვედრების გასამართად. აღნიშნულ გამოფენებზე ვხვდებით პარტნიორებს, რომლებთანაც შემდეგ, წლის განმავლობაში, ვთანამშრომლობთ. ვგეგმავთ მარკეტინგულ კამპანიებს. ჩამოგვყავს კომპანიები და ჟურნალისტები, ვაორგანიზებთ პრეზენტაციებსა და B2B შეხვედრებს. ვიზიარებთ გამოცდილებებსა და ვაინიცირებთ ახალ პროექტებს. გარდა აღნიშნული შეხვედრებისა, გამოფენებს სტუმრობენ ვიზიტიორები, რომლებიც აჭარის სტენდთან ეცნობიან კონკრეტული ქვეყნებიდან ჩამოსვლის გზებს, მთისა და ზღვის მიმართულებებს, ადგენენ მარშრუტებს ჩვენს თანამშრომლებთან ერთად, რაც უფრო რეალურს ხდის მათ ჩამოსვლას რეგიონში. შესაბამისად საერთაშორისო ღონისძიებებზე ხდება რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.

- რომელ ქვეყნებში გამართეთ შეხვედრები და არის თუ არა ჩვენი რეგიონი ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული?

- წელს ძალიან სასარგებლო შეხვედრები გავმართეთ მადრიდში მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს გამოფენაზე Fitur, შევხვდით „ბლუმბერგის“, ამაზონის, „ბუქინგ.ქომ-ის“, ბიბი-სის წარმომადგენლებს, ბლოგერებსა და მსხვილ ტუროპერატორებს. ვიზიტიორებს გავაცანით აჭრის ტურისტული პოტენციალი ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანაში, მათ შორის ლატვიაში „ბალტურზე“ შევხვდით „ეარბალტიკის“ მენეჯმენტს, დავგეგმეთ ერთობლივი ინფოტური. შევხვდით ისეთ მსხვილ ტუროპერატორებს, როგორებიც არიან ლატვიის „ტეზ ტური“ და „ნოვოტურასი“. შეხვედრები გაიმართა ლატვიის ტურიზმის ადმინისტრაციის და ტურიზმის ასოციაციის ხელმძღვანელ პირებთან. ასევე, წელს, მუმბაიში, გამოფენის ფარგლებში, მოლაპარაკებები გაიმართა ისეთი მსხვილი მედია თუ ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან, როგორებიცაა „თაიმს ოფ ინდია“, „ინდია აუთბაუნდი“, „თომას ქუქი“ და სხვა. როგორც აღვნიშნეთ, ეს შეხვედრები წლის განმავლობაში ტურიზმის მასტიმულირებელი ღონისძიებების დაგეგმვაში გვეხმარება.

- როგორია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სტრატეგია 2025 წელს?

- ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავძლიოთ რეგიონში სეზონურობის პრობლემა. მოვახდინოთ აჭარის რეგიონის, როგორც 4 სეზონის განმავლობაში მიმზიდველი ტურისტული მიმართულების, პოზიციონირება, ასევე, აქტიურად ვმუშაობთ ბაზრების დივერსიფიცირებაზე. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ ვიზიტიორები და ჩვენი რეგიონი ტურისტულად არ იყოს მიბმული მხოლოდ 9-10 ქვეყანაზე. შესაბამისად, დაგეგმილია როგორც ოფლაინ, ასევე, ონლაინ მარკეტინგული კამპანიები. წელს ძირითად აქცენტს ონლაინრეკლამაზე 20-მდე სამიზნე ქვეყნაში გავაკეთებთ. პარალელურად, დაგეგმილი გვაქვს პრეზენტაციები და B2B შეხვედრები. აქტიურად ვითანამშრომლებთ ბლოგერებთან და ინფლუენსერებთან. გამოვიყენებთ მსოფლიოში ცნობილ და რეიტინგულ პლატფორმებს. აქტიურად გაგრძელდება მთის მიმართულებით ახალი მარშრუტების მარკირება, ტრენინგები აჭარის მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად და შიდა ტურიზმის სტიმულირება.

- ბოლო წლებში აჭარის რეგიონის პოპულარობა მკვეთრად გაიზარდა. რას მიაწერთ ამ წარმატებას და რომელ ახალ ბაზრებზე გეგმავთ აქტიურობას?

- ბოლო წლებში, ბაზრების დივერსიფიცირების პოლიტიკის ფარგლებში, აქტიურად დავიწყეთ ინფორმაციის გავრცელება ახალ ბაზრებზე. საკმაოდ პოზიტიური დინამიკა გვაქვს გერმანიიდან, ბალტიისპირეთიდან, ესპანეთიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან, გალფის ქვეყნებიდან, თურქეთიდან... წელს, გარდა ევროპის მიმართულებებისა, აქტიურად ვიმუშავებთ ჩინეთისა და ინდოეთის ბაზრებზე. კვლევების საფუძველზე, დავამატებთ სხვა აზიურ ბაზრებსაც.

მხოლოდ გასულ წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის წარდგინებითა და ინიციატივით, აჭარა მოხვდა მსოფლიო დონის გამოცემების, მათ შორის EUROPEAN BEST DESTINATIONS-ის, WANDERLUST-ის ტოპ რეიტინგებში. აჭარაზე სტატიები დაიბეჭდა საბორტო ჟურნალებში, როგორებიცაა: Wizz air-ი, AIR BALTIC-ი და Air Astana. 190 ქვეყანაში ეცნობოდნენ აჭარის ტურისტულ პოტენციალს ტელეკომპანია DEUTSCHE WELLE-ს ეთერში. დეპარტამენტის ორგანიზებით, აჭარის შესახებ პიარი დაიწყო ROUGH GUIDES, Conde Nast Traveller-ის საშუალებით. პოლონეთის, ჩეხეთის ტოპგამოცემაში დაიწერა სტატიები ჩვენ შესახებ, მათ შორის, პოლონეთის „ფორბსში“. ტურიზმის დეპარტამენტმა პირველ ორ კვარტალში 20 საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. გამართა 300-მდე შეხვედრა ტურისტული და მარკეტინგული კომპანიების, ასოციაციების, მედიასაშულებების, ბლოგების, სახელმწიფო უწყებებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებთან. პირველ ორ კვარტალში მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან 30 მედია და ინფოტური მოეწყო. თოთოეულ ქვეყანაში ცნობილი ინფლუენსერები, ინტერნეტგამოცემები, ტელევიზიები და რადიოსაშუალებები, წლის დასაწყისიდან, დეპარტამენტის ორგანიზებით, აქტიურად აპიარებენ აჭარას როგორც 4 სეზონის მიმართულებას. მედიატურების საშუალებით 300-მდე პიარსტატია, სიუჟეტი, „რილზი“ და „პოსტი“ მომზადდა (საერთო წვდომით - 60 მილიონი ადამიანი). პარალელურ რეჟიმში, ონლაინრეკლამა მიმდინარეობს სამიზნე ქვეყნებში. სოციალური ქსელების დახმარებით, 12 ქვეყანაში ჩაშვებულ რეკლამას მხოლოდ ბოლო ორი თვის განმავლობაში 50 მილიონი წვდომა ჰქონდა. ბოლო წლებში ბათუმი იქცა სპორტული ტურიზმის ალტერნატიულ მიმართულებად, სწორედ ამიტომ ვიყენებთ ისეთ პლატფორმებს, როგორებიცაა რაგბისა და ფეხბურთის საერთაშორისო და შიდა მატჩები. დაბრენდილი გვაქვს „ვიზიტ ბათუმის“ ბრენდინგით როგორც სტადიონები, ისე სპორტსმენთა მაისურები. ყველა ეს აქტივობა, ბუნებრივია, ხელს უწყობს აჭარის პოპულარობის შენარჩუნებას საერთაშორისო დონეზე.

- რა გამოწვევების წინაშე დგას რეგიონი?

- მიუხედავად ტურიზმის სფეროში ყველა მიმართულებით ძალიან სწრაფი ტემპებით წინსვლისა და პროგრესისა, გამოწვევად რჩება მომსახურების ხარისხი. ამ მხრივ, ტურიზმის დეპარტამენტს არაერთი ტრენინგი აქვს დაგეგმილი კერძო სექტორისთვის.

- როგორ თანამშრომლობთ კერძო სექტორთან და რა ნაბიჯებს დგამთ ტურიზმის სექტორის გასაძლიერებლად?

- ყველა ჩვენი ღონისძიება, პროექტი და კამპანია კერძო სექტორის განვითარებისკენაა მიმართული. თუ რეგიონს ჰყავს მეტი ტურისტი, მრავალფეროვანი და სხვადასხვა სეგმენტის - კერძო სექტორიც დატვირთულია. გარდა ამისა, წლის განმავლობაში რეგიონში ჩამოგვყავს მსხვილი კომპანიები, რომლებსაც ვახვედრებთ ადგილობრივ კომპანიებს და მათ შესაძლებლობა აქვთ, სამიზნე ქვეყნებში გაიჩინონ პარტნიორები. საზღვარგარეთ ყველგან გვახლავს ის კომპანიები, რომლებსაც სურთ კონკრეტულ ბაზრებზე მუშაობა. ბიუჯეტის დაგეგმვისას აქტიურად ვთანამშრომლობდით კერძო სექტორთან, ვითვალისწინებთ მათ შეხედულებებს და ვაძლიერებთ იმ ბაზრებზე აქტივობებს, სადაც მათ აქვთ ინტერესი.

- როგორ აპირებთ აჭარაში ტურიზმის სეზონურობის დაბალანსებას და მეტი ვიზიტიორის მოზიდვას ზამთრისა და გაზაფხულის სეზონზე?

- ტურიზმი არის ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონტრიბუცია. მხოლოდ გასულ წელს ტურიზმიდან შემოსავალმა 4.5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ვიზიტიორების მატება აღინიშნება სწორედ იმ ქვეყნებიდან, რომლებზეც წლების განმავლობაში ვმუშაობთ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგია, რომლითაც ტურიზმის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს, ეფექტიანია. ჩვენ ვგეგმავთ, გავაგრძელოთ მოლაპარაკებები ავიაკომპანიებთან, მსხვილ ტუროპერატორებთან და საერთაშორისო მედიაპლატფორმებთან. ასევე, ასოციაციებთან და ინფლუენსერებთან, რათა, ერთი მხრივ, გაიზარდოს ფრენების რაოდენობა და შენარჩუნდეს ტურისტთა ნაკადების ზრდის დადებითი დინამიკა, ხოლო, მეორე მხრივ, მოხდეს აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება როგორც შიდა, ასევე, საერთაშორისო დონეზე და ცნობადობის ამაღლება. ამ პროცესის ერთ-ერთი თანმდევი შედეგი იქნება სეზონურობის პრობლემის ეტაპობრივი დაძლევა.

> *„ტურიზმი არის ქვეყნის ბიუჯეტში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონტრიბუცია. მხოლოდ გასულ წელს ტურიზმიდან შემოსავალმა 4.5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ვიზიტიორების მატება აღინიშნება სწორედ იმ ქვეყნებიდან, რომლებზეც წლების განმავლობაში ვმუშაობთ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგია, რომლითაც ტურიზმის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს, ეფექტიანია*

საპატრიარქოდან სტიქიით დაზარალებულთათვის საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი და მედიკამენტები გაიგზავნა

საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს, სადაც დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სტიქიაზეა საუბარი.

„დასავლეთ საქართველოში დიდთოვლობამ ჩვენი ხალხისა და ზოგადად, ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოიტანა. სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც. ხელისუფლება, სამაშველო სამსახურები და მოხალისეები. ყველა ცდილობს, შეეწიოს სტიქიის ზონაში მოხვედრილთ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის გადაწყვეტილებით, საქართველოს საპატრიარქოდან დაზარალებულთათვის გაიგზავნება საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი, მედიკამენტები, თბილი გადასაფარებლები და სხვ. ღმერთმა დალოცოს სტიქიის ზონაში მყოფნი, ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და დაიფაროს განსაცდელთაგან. მადლობა საქველმოქმედო ფონდ „ავერსს“ თანადგომისთვის“ - გკითხულობთ განცხადებაში.

ირაკლი კობახიძე: დღეს გავეცანით აჭარაში არსებულ მდგომარეობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აჭარაში ყოფნისას ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. მისი თქმით, უხვი ნალექის გამო პრობლემები შეიქმნა ბათუმში, ქობულეთსა და ხელვაჩაურში, თუმცა ინტენსიური სამუშაოების შედეგად, გზები, არსებითად, არის გაწმენდილი

„ჩვენ დღეს გავეცანით აჭარაში არსებულ მდგომარეობას. ამ დღეების განმავლობაში ინტენსიურად წარიმართა სამუშაოები, როგორც გვითხრეს, მაქსიმუმ ხვალისთვის ყველგან იქნება ჩართული ელექტროენერგიაც. ძირითადად, გურიაზე ვართ კონცენტრირებული გამომდინარე იქიდან, რომ ყველაზე მეტი პრობლემა ამ რეგიონშია“, - განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი კობახიძემ დიდთოვლობასთან დაკავშირებით ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებზე დასმულ კითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ „ამ განცხადებებს ნაკლები ყურადღება უნდა დავუთმოთ“. „ეს მათი ხასიათია, უბრალოდ, და როგორც ჩანს, მათი დაკვეთაა. ჩვენ უნდა ვიყოთ კონცენტრირებული თავიდან ბოლომდე პრობლემების მოგვარებაზე და, რა თქმა უნდა, ნაკლები ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ განცხადებებს“, - განაცხადა მან.

პრემიერმა გურიაში არსებულ ვითარებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ მოსახლეობის, დაახლოებით, 20%-ს დღეს ელექტროენერგია არ მიეწოდება.

„გურიაში რჩება მეტი პრობლემა. მათ შორის, გზის გაწმენდის სამუშაოები ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს. უნდა აღდგეს ელექტროენერგიის მიწოდება. მოსახლეობის, დაახლოებით, 20%-ს არ მიეწოდება დღეს ელექტროენერგია. აქ არის, რა თქმა უნდა, ინტენსიური სამუშაოები ჩასატარებელი. ჩვენ დავბრუნდებით ახლა გურიაში და, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად დავინტერესდებით არსებული მდგომარეობით, გვექნება მითითებები იმასთან დაკავშირებით, სრულად როგორ უნდა გამოსწორდეს ყველა საკითხი“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.



გიორგი მასალკინი: ფილოსოფოსობა იგივე სტერეოტიპების მსხვრევაა...

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი ბლიცინტერვიუს სტუმარია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფოსი გიორგი მასალკინი. იგი არის ავტორი სამეცნიერო სტატიებისა, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია საერთაშორისო გამოცემებში ინგლისურ და რუსულ ენებზე. აკადემიურ საქმიანობასთან ერთად, აქტიურად ეწევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. ბსუ-ში კითხულობს კურსებს ფილოსოფიის სხვადასხვა დისციპლინაში, მათ შორის პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

დღეს გიორგი მასალკინს სხვა რაკურსით გაგაცნობთ.

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა ვყოფილიყავი...

- თავისუფალი ადამიანი მინდოდა ვყოფილიყავი ყოველთვის, „უფროსები“ რომ არ მყოლოდა. ნაწილობრივ გამომივიდა.

- დილა იწყება...

- ყავით.

- ბავშვობიდან ყველაზე მძაფრად მახსენდება...

- თევზის ქონი.

- ცხოვრება ჰგავს...

- საინტერესო ამბავს.

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- აღსაქმელი ძალიან ბევრია.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- რომ მეტი უნდა მეფიქრა.

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- ფილოსოფოსობა იგივე სტერეოტიპების მსხვრევაა, თუმცა, დრაკონის მოჭრილი თავებივით, ახალი სტერეოტიპები იჩენს თავს.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...



- ცხოვრება ძალიან მოსაწყენი რამ იქნებოდა.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- ქართული პოლიტიკური სპექტრი.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- კარგი წიგნი ყველა სევდიანია... სადმე, მე-19 საუკუნეში.

- ყველაზე უცნაური ჩვევა...

- ასეთი, ვფიქრობ, არ გამაჩნია.

- არასდეს...

- დამიჩაგრავს ვინმე.

- ყველაზე დიდი სისუსტე...

- ჩემზე სხვისი აზრის ზედმეტად გათვალისწინება.

- ოცნების სამსახური...

- მსოფლიოში მოგზაურობა და ფოტოგრაფირება.

- სამყაროს აღქმის ჩემეული ემოცია...

- გაკვირვება.

- ფილმი, რომელიც არასოდეს მომბეზრდება...

- „ცისფერი მთები“.

- საყვარელი ადგილი დასვენებისთვის...

- სახლი, ბუნება, იტალია.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- რაღაც ძალიან კარგი მოხდება.

- ვნანობ...

- ზოგჯერ მიმსჯელია იმაზე, რაც საფუძვლიანად არ მცოდნია.

- ყველაზე დაუვიწყარი მოგზაურობა...

- იტალია!!!

- სევდას მგვრის...

- უკულტურობა, ეგოების ბრძოლა.

- ჩემზე ამბობენ...

- ბევრ რამეს.

- ყველაზე დიდი გაკვეთილი, რაც ცხოვრებამ მასწავლა...

- შენი სისუსტეები რომ იცი, სხვების სისუსტეებისადმი შემწყნარებელი უნდა იყო.

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- მწვანე.

- სამყაროს შეცვლა რომ შეიძლებოდეს, რა იქნებოდა პირველი ნაბიჯი?

- ბავშვების გაბედნიერებით დავიწყებდი.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- ტკივილი, რომელიც ადამიანებს მივაყენე.

- ფობია...

- სიმაღლიდან ჩახტომა წყალში.

- მენატრება...

- მოგზაურობა.

- ბოლოს წავიკითხე...

- მადელინ მილერის „კირკე“.

- მავსებს...

- ბავშვებთან ურთიერთობა.

- ამოჩემებული ფრაზა...

- შევიტანოთ ეჭვი სიცხადეებში.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- ბოლო დროს საკმაოდ სენტიმენტალური გავხდი.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- სხვის აზრზე ნაკლებად ვყოფილიყავი დამოკიდებული.

- ბედნიერება ერთ სიტყვაში...

- ჩემიანების ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა.

- მწამს...

- სიკეთის.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- რთული კითხვაა.

- ადამიანი ადამიანისთვის...

- ჯოჯოხეთია (ჟან პოლ სარტრი).

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- ემპათია თანაქალაქელებისგან.

- ქალი...

- უცხოპლანეტელია.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- ნიჭიერება.

- თავისუფლება არის...

- მთავარი ჯილდო და მთავარი პრობლემა.

- გზავნილი სამყაროს...

- სამყარო ისედაც რთული რამაა, ნუ გავართულებთ.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- და არც ეცოდინება! :)

- მჯერა...

- სიკეთე გიბრუნდება.

- მომავლის კადრი...

- ზაფხულში მდინარეში ჩავდივარ.

- მას ვეტყვი, რომ...

- ჩემთვის ძალიან ღირებულია.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- კარგ ლუდს და ხინკალს მივირთმევდი სიამოვნებით.

ახლა ყველაზე მეტად სურს – ერთიანი ერი, მზიანი საქართველო, გაღიმებული შვილები

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ახალგაზრდა ბათუმელ პოეტ ჯაბა გორგილაძის შემოქმედება ჩვენს თანაქალაქელებს განსაკუთრებით უყვართ. მისი ლექსები დაბეჭდილია ჟურნალ-გაზეთებში, სხვადასხვა კრებულსა და ინტერნეტგამოცემაში

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გამოქვეყნდა ჯაბა გორგილაძის წიგნი „გულის ექო“ (გამომცემლობა „კალმოსანი“). ჩვენი მკითხველი დღეს მას უკეთ გაიცნობს.

- ბავშვობა არის...

- ზღვა ენერგია, ფერადი ფერები, სამყაროს ლამაზ ფერებში აღქმა. ჩემი ნება რომ იყოს, ბავშვობაში დავრჩებოდი. ბავშვებივით რომ ვხედავდეთ სამყაროს, იგი უფრო უკეთესი იქნებოდა!

- ყველაზე მნიშვნელოვანია...

- სიყვარული!

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი, უფულოდ ვერ იქნები ბედნიერი. ასეთი უცნაურია სამყარო!

- ცხოვრება ჰგავს...

- წელიწადის ოთხივე დროს.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- ფრენა რომ შემეძლოს... ნეტა როგორია დედამიწა ზემოდან?!

- ვნანობ...

- წლებს, გაბრაზებას, მრისხანებას, დეპრესიულ დღეებს!

- დამსხვრეული სტერეოტიპები...

- თითქოს ქალები უფრო სუსტები არიან, ვიდრე კაცები!

- სამყაროს აღქმის ჩემეული განცდა...

- უსასრულოა, გააჩნია, როგორ შევიგრძნობთ ამას.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- მობილური.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- იქნებოდა ისეთი სამყარო, როგორიც ახლაა.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- საკუთარ თავთან დამარცხება!

- მუსიკა - ჩემს პოეზიაში...

- ჩიტების ჭიკჭიკი, ნაკადულის ხმა, ტალღების ხმაური, ფოთლების შრიალი...

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

- არასდროს...

- თქვა არასდროს, ნუ განიკითხავ სხვას, ჩვენც დავეცემით.

- ერთ დღესაც გათენდება და...

- გავიღიმებ, გავიღიმებ და კვლავ გავუღიმებ ქრისტეს.

- სევდას მგვრის...

- მოხუცი ქალის გამოწვდილი ხელი ქუჩაში, მშიერი ბავშვი, სიღარიბე, ძალადობა.

- ჩემზე ამბობენ...

- ვერააო!

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- მზის ფერი, ნათელი და ენერგიული.

- დავიწყება რომ შემეძლოს...

- ბავშვობის ტრავმებს გავანადგურებდი.

- ფობია...

- დაკარგვის!

- მენატრება...

- ბავშვობის წლები, ბებოსთან გატარებული დღეები.

- ბოლოს წავიკითხე...

- „დათა თუთაშხია“ (მესამედ).

- ვიმოგზაურებდი...

- ბრაზილიაში.

- ლექსების წერის პროცესი ჰგავს...

- ყვავილს, გაყინულს, მზე რომ ათბობს და ენერგიას აძლევს.

- მავსებს...

- ღამე, ქუჩა და ქუჩის ძაღლები.

- ამოჩემებული ფრაზა...

- „უფლის წყალობით“.

- ცრემლებს ვერ ვიკავებ, როცა...

- ადამიანი სიკეთეს აკეთებს.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- ნაკლებად სენტიმენტალური ვიქნებოდი.

- ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- არ ვიცი.

- შთაგონების წყარო...

- ადამიანები, ბუნება.

- საყვარელი მწერალი...

- ნოდარ დუმბაძე.

- დღე, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

- 2018 წლის 1 იანვარი, როცა უფალმა მაჩუქა შვილი.

- მწამს...

- ქრისტესი!

- ადამიანი ადამიანისთვის...

- სულის სალბუნია ან პირიქით.

- ყველაზე დიდი ჯილდო...

- მე მქვია ქართველი!

- ქალი...

- ძალა, ენერგია... ოღონდ მზის შემდეგ.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- არაფერი.

- თავისუფლება არის...

- ცხოვრება ზეგავლენის გარეშე, როცა მართავ სხეულს და ფრენა შეგიძლია.

- გზავნილი სამყაროს...

- გვიყვარდეს!

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- არც მე ვიცი.

- მჯერა...

- გამოიდარებს.

- მომავლის კადრი...

- ბაბუა და შვილიშვილი - სხალთაში, ბუხართან.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- ერთიანი ერი, მზიანი საქართველო, გაღიმებული შვილები.

- მას ვეტყვი, რომ...

- მიყვარს!

- ექსპრომტად...

- როცა ფოთლები ხეს მოსწყდებიან, ხე განსაცდელშია, თუმცა იყვავილებს და კვლავ კვირტდებიან, გაიღიმეთ, დაცემას წამოდგომა მოსდევს, სამყარო სიყვარულით არის ბედნიერი!

„ოცნების ქალაქში“ სახლის სახურავი ჩამოინგრა

ბათუმში, „ოცნების ქალაქში“ ძლიერი თოვლის შედეგად საცხოვრებელი სახლის სახურავი ჩამოინგრა, დაშავდა ერთი ადამიანი. იგი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. როგორც მედიკოსები ამბობენ, მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

აჭარის ჯანდაცვის მინისტრ ნინო ნიჟარაძის თქმით, მობინადრეებს ბინის ქირას მერია გადაუხდის, საცხოვრებელი კი თავად უნდა მოიძიონ, თუმცა გადაყვანას არ თანხმდება რამდენიმე ოჯახი. ადგილზე მობილიზებულია პოლიციაც.

ნაზი დუმბაძემ ერთი გაუნელებელი ტკივილი თან წაიღო

რამდენ საიდუმლოს, გაუხმაურებელ და სამზეოზე გამოსატან ამბავს, ფაქტს, მოვლენას ინახავს საქართველოს თითოეული კუთხე და მისი შემოქმედნი

ოსმალოსგან გამოხსნილ აჭარაში ქალის საზოგადოებაში გამოსვლა, ქვეყნის სამსახურში დადგომა ისევ ტაბუდადებული იყო. სამართლიანი, ეროვნული ადათ-წესების მიმდევრები იყვნენ ის ქალები, ვინც ჩადრი ცეცხლს მისცეს და საკუთარი პოზიცია ყველგან და ყველაფერში დაიმკვიდრეს. ვერც ამაგს დავუკარგავთ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულ ქალბატონებს, რომლებიც ეროვნული მეურნეობის, გამორჩეულად - განათლების სადარაჯოზე დადგნენ და პირადი წილი გაიღეს აჭარის მკვიდრთა წარმოჩენისთვის. მრავალმა საკუთარი ცხოვრება აქაურ ჭაბუკებსაც დაუკავშირა და ღირსეული მეოჯახის, მეზობლის, მეგობრის, საჯარო მოხელის სახელი დატოვა.

ძალიან ხანმოკლე გამოდგა მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოს მკვიდრ ნინა გელავას და ჭვანელი მუხამედ დუმბაძის ოჯახური იდილია. ნინა 29 წლის ასაკში ორი შვილის დედა იყო, როცა მიწას მიებარა. დედით ობოლ ნაზისა (ზინეთსა) და ენვერ დუმბაძეებს ცხოვრების სარბიელზე გასასვლელად დიდი და რთული ბარიერის დაძლევა ერგოთ წილად.

ნიჭიერებას, მიზანსწრაფვას, ერთხელ ჩაფიქრებული ოცნების ასრულებას რომ მიაღწიო, ისეთი ნებისყოფა, გაბედულება, თუნდაც სიმამაცე უნდა მოგმადლოს უფალმა, როგორსაც ნაზი დუმბაძე ფლობდა...

ოთხი კლასი ბათუმში დაამთავრა. დედის გარდაცვალების შემდეგ ერთი წელი ლეხაინდრაოში (მარტვილის რაიონი) ბებია ნატასა და ბაბუა ნესტორს მიებარა. ამ წელს იგი მრავალ ტკბილ მოგონებას უკავშირებდა. არც იმას მალავდა, რომ შავტუხა გოგონას ერთ დღეს „თათარსკუა“ (თათრის შვილი) უწოდეს...

დედით ობოლი შვილიშვილების ხვედრი არც ჭვანელმა გუნეშ ბებიამ დატოვა თანადგომისა და ყურადღების მიღმა, თანაც იმ დროს, როცა მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. ნაზიმ მეექვსე და მეშვიდე კლასი ჭვანის 7-წლიან სკოლაში გაიარა.

უფროსი თაობის ხულოელებსა და შუახეველებს კარგად ახსოვთ ხულოში ვალოდია

(ვლადიმერ) გელავასა და მისი მეუღლე მარიამის საქმიანობა. ისინი, ბედად, იმ წლებში მოავლინეს აჭარის მთიანეთში, როცა ნაზი ხულოს ქალთა პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლე გახდა.

„ბიძაჩემი უშიშროების სამსახურში მუშაობდა. იგი უპატიოსნესი, წმინდა, მაღალი ზნეობის ადამიანი იყო. ბიცოლა მარიამი განათლების განყოფილებაში მუშაობდა“, - იგონებდა ნაზი თავის წიგნში „თათარსკუა ანუ ზინეთის ნაამბობი“. ბებიები: ნატა, გუნეში, დესპინე, მერიემი, ბიძები: მურთაზი, მურსელი, ჰავა მამიდა, მარიამ ბიცოლა, ვლადიმერ ბიძია იყვნენ ნაზის ჭკუის დამრიგებლები, რომლებიც ცდილობდნენ, ობოლი გოგონა სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებულიყო, ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, ხულოში სწავლის პერიოდში ნაზი ლოგინად ჩავარდნილ ნატა ბებიას რომ უვლიდა, რომლის გარდაცვალებაც, დედის მსგავსად, აუნაზღაურებელ დანაკლისად მიიჩნია.

ხულოში სწავლისას თანატოლებმაც გუნეში ატკინეს, როცა ბიჭებმა „გიაური“ უწოდეს, „თუმცა, მაშინდელივით არ მიტირია, „თათარსკუა“ რომ მიწოდეს... ერთ დროს, მამა აჭარელი ჰყავსო და... უფრო მძიმე, მოუშუშებელი ჭრილობა მომაყენეს - „თათარსკუა“ გავხდი. ახლა - დედა მეგრელი ჰყავსო და... „თათარსკუას“ გიაურიც დაემატა. მძიმეა, მეტად მძიმე, როდესაც გაუთვითცნობიერებელი ქართველი მისსავე სისხლსა და ხორცს მუცელში დაჭრის“, - იგონებს ნაზი.

კრძალვითა და მოწიწებით შედგა ფეხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თანაც იმ წლებში, როდესაც მისი რექტორი თითოეული ქართველისთვის სათაყვანებელი პიროვნება, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი იყო. უდიდესი მამულიშვილი, სითბოთი და სიყვარულით გამთბარი პიროვნება ყველა ახალგაზრდას სამსახურს უწევდა. ბატონი ნიკოს მითითებით ნაზიმ იურიდიული სპეციალობიდან საბუთები ფილოლოგიურზე გადაიტანა. რა სიკეთეც რექტორმა მთიანი აჭარიდან წარგზავნილი გოგონას მიმართ გამოიჩინა, ზოგიერთისთვის შეიძლება დაუჯერებელი იყოს, არადა ნაზისთვის აუხდენელი ოცნების ახდენად რჩება.

მისაღებ გამოცდებზე ქართულ წერაში მისი ნაშრომი ფრიადზე შეაფასეს, რომელიც რექტორმაც მოიწონა. ნაკლები ნიშანი არც ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირ გამოცდაზე მიუღია. ბოლო გამოცდამდე ორიანის გარდა მის საგამოცდო ფურცელში ყველანაირი ნიშანი ჩაიწერა, მაგრამ გერმანულ ენაში ხელი მოეცარა და ორიანით გამოისტუმრეს.

ჩარიცხვაზე, სტუდენტურ ცხოვრებაზე, თბილისში გასატარებელ ხუთ წელიწადზე ფიქრი უკვე ზედმეტი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მისაღები გამოცდების შემაჯამებელ საზეიმო დახურვას დაესწრო, რომელზეც ჩარიცხულების სია ბატონმა ნიკო კეცხოველმა წაიკითხა. ნაზი გაოგნებული დარჩა, როცა რექტორმა დამატებით ჩარიცხულთა შორის ლამარა ფალიანი, ნოდარ წიკლაური და ნაზი დუმბაძე დაასახელა. ბატონმა ნიკომ მიულოცა სტუდენტობა. ალბათ უნივერსიტეტის საუკუნოვან ისტორიაში ასეთი პრეცედენტი ერთეული იქნება. იგი ბატონ ნიკოს დიდ მამულიშვილობასა და აჭარის მკვიდრ გოგონასადმი მის კეთილ დამოკიდებულებაზე მიანიშნებდა.

ნიკო კეცხოველმა ისიც კარგად იცოდა, რომ აჭარის მთიანეთიდან ნაზი დუმბაძე პირველი გოგონა იყო, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. „დიდი ბედნიერება მხვდა წილად, საკუთარი თვალებით მივჩერებოდი ჩვენს სახელოვან, დიდ მეცნიერებს: კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს, არნოლდ ჩიქობავას, შალვა ნუცუბიძეს, ვუკოლ ბერიძეს, ბესარიონ ჟღენტს, ილია აბულაძეს, სერგი ჭილაიას, ივანე გიგინეიშვილს, აკაკი ურუშაძეს, გიორგი ჯიბლაძეს, ქეთევან ლომთათიძეს, ქეთევან სიხარულიძეს, თინათინ შარაშენიძეს, - იგონებს ნაზი. მისი თანატოლები, იმ დროის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ: მუხრან მაჭავარიანი, მორის ფოცხიშვილი, რეზო ინანიშვილი, ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, ზაურ ბოლქვაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რომლებთანაც დიდი მეგობრობაც აკავშირებდა.

ბედმა ერთხელ თუ გაგიღიმა, გაგიმართლა - იგი იმ დღიდანვე ადამიანის გზამკვლევი, მეგზური ხდება. ნაზისთვის ბედს ზურგი რომ შეექცია, იგი იმ მეათეკლასელი ჭაბუკის მეუღლე იქნებოდა, რომელმაც ჭვანის სკოლაში ერთწლიანი მუშაობის დროს ხელი სთხოვა ან კიდევ ჭვანაში დარჩებოდა და შეიძლება, მისი საქმე და სახელი ხეობის ფარგლებს აღარ გასცდენოდა. მან შრომის, ცხოვრების ასპარეზად თბილისი აირჩია და არც შემცდარა.

ბედისწერამ ცხოვრების დიდ გზაზე იმერეთის ულამაზეს სოფელ ილემის მკვიდრ ოთარ ბაბუხადიას შეახვედრა. მათ ერთმანეთი დანახვისთანავე შეუყვარდათ. ხელიც ისე მოაწერეს, ეს არც ოთარის მშობლებმა იცოდნენ და არც ნაზის აღმზრდელებმა, რომელთა შორის მაშინ უპირველესად გუნეშ ბებიას მიიჩნევდა.

ოთარის მშობლებმა წყვილს სოფელ ილემში წვეულება გადაუხადეს, რის შემდეგაც ისინი თბილისში დაბრუნდნენ, სადაც საცხოვრისი და მუდმივი სამუშაოც გაიჩინეს.

მარიამი და მერაბი მშობლების კვალს მიჰყვებიან. ნაზი შვილიშვილებითაც ხარობდა, მაგრამ ასაკმა თავისი გაიტანა და რამდენიმე წლის წინ აღესრულა. ერთი გაუნელებელი ტკივილი თან წაიღო: ვერ აისრულა ოცნება, ვერ მიაგნო დედის - ნინა გელავა-დუმბაძის საფლავს და ერთხელაც ვერ მიიტანა ყვავილები. სამაგიეროდ, მის საფლავს შვილების, შვილიშვილების, ახლობლების, მეგობრების სახით მიმკითხავი არ აკლია.

მორიგი სხდომა – ბათუმის საკრებულოში

პირველი გვერდიდან

ბათუმს ფიზიკურად არ ჰყავს ამდენი ერთეული ტექნიკა, - განაცხადა ვაუა დარჩიამ.

ოპოზიციონერი დეპუტატის ამ კომენტარს სხდომაზე სიტყვიერი დაპირისპირება და ხმაური მოჰყვა, თუმცა სიტუაცია მალევე დასტაბილურდა.

- 14-ივე ადმინისტრაციულ შენობაში შექმნილი იყო მინიშტაბები, ქალაქ ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით, ლოკაციურად, ყველა ჩართული ვიყავით უბნებზე. 70-მდე ტექნიკა და მეტიც ნამდვილად იყო. კერძო კომპანიებს ვთხოვეთ და მოგვცეს თავიანთი ტექნიკა, თითქმის ყველა კერძო კომპანია იყო ჩართული და გვეხმარებოდა. ოპერატორების პრობლემა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ, საკრებულოს წევრები და მერიის თანამშრომლები ტრაქტორებს დავყვებოდით, რათა ლოკაციები გვესწავლებინა. ამიტომ, ისეთ რამეზე ნუ ვილაპარაკებთ, რაც არ ვიცით, - განაცხადა საკრებულოს თავჯდომარე ირაკლი თავდგირიძემ.

საკრებულომ დაამტკიცა დადგენილება ქალაქ ბათუმში სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის თაობაზე. ასევე, მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების და სათადარიგო ნაწილების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, რაც გულისხმობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ორი ავტობუსისა და სათადარიგო ნაწილების საკუთრებაში გადაცემას შემდგომში მათი ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის მიზნით.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თამარ მეფის გამზირი №54-ში მდებარე ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადაცემის მიზნით. სხდომაზე დამტკიცდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში, ასევე, დამტკიცდა სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხი. ცვლილება შევიდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №25 განკარგულებაში, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების ახალი რუკის (განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) განაშენიანების მართვის რეგლამენტის განახლებული რედაქციით ჩამოყალიბებას. დამტკიცდა დადგენილება მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში (ავგიის I ჩიხი №8) ცვლილების შეტანის თაობაზე, ასევე, განაშენიანების დეტალური გეგმები - ნონეშვილის ქ. №№1, 1^{ა}, 1ბ,1^{ბ}-სა და №1-ის მიმდებარედ და გარკვეულ ტერიტორიებზე, მათ შორის ალ. პუშკინის ქ. №№37, 37^{ა}, 37/39, 35^{ფ}-სა და საზოგადოებრივი სივრცის ნაწილზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულებზე. ცვლილებები დამტკიცდა ფესტივალების დაფინანსების წესში, „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2^{ბ}
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 27/02/25, 19^{25} სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ფერები – განწყობის, ხასიათისა და შინაგანი სამყაროს ანარეკლი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ჩვენი თანაქალაქელი გურამ ფუტკარაძე იმ ღირსეულ და გამორჩეულ ბათუმელებს მიეკუთვნება, საზოგადოების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით რომ არიან გარემოსილნი. ეს სიყვარული და აღიარება ბატონმა გურამმა თავისი შემოქმედებითა და ღვაწლით დაიმსახურა

იგი წლებია, უნარიანად ხელმძღვანელობს აჭარის მხატვართა კავშირს და ბათუმის სამხატვრო სასწავლებელს, არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკაფა შემოქმედებითი გზა. ამასთან, ბატონი გურამის შემოქმედება, შესანიშნავი ფერწერული ტილოები მუდამ ყურადღების არეალშია. ავტორმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნახატს „მზის გამონათება“ უწოდა... ამ ფაქტს სიმბოლურად მივიჩნევთ - ბატონი გურამის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ რომ მზის გამონათებაა. დღეს ჩვენს მკითხველს ამ საინტერესო და გამორჩეულ შემოქმედებით სამყაროში ვამოგზაურებთ.

- ჩინებული მხატვარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე - ასე გიცნობენ საზოგადოებაში. და მაინც, გურამ ფუტკარაძე რა ნიუანსებით ხასიათდება? რითი გამოირჩევა?

- ყველა ხელოვანის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ძიების პროცესია. არც ჩემი შემთხვევაა გამონაკლისი. მხატვრად ჩამოყალიბებაში, საწყის ეტაპზე, დიდი გავლენა იქონია სამხატვრო აკადემიაში სწავლამ, შემდეგ კი განათლების გაღრმავებამ, სხვა ავტორების გაცნობამ და პირადმა პრაქტიკამ. მხატვრის ხელწერა ყალიბდება შრომასა და ძიებაში, შრომა ჩემი სტიქიაა და მგონი, შედეგზე ჩემი ნახატები საუბრობენ.

- შემოქმედებით და საზოგადო საქმიანობას წარმატებით უთავსებთ ერთმანეთს. მოგვითხრეთ ამის თაობაზე...

- ხელოვნება ჩემი ცხოვრების ნაწილია და ამ როლების შეთავსება ჩემთვის ბუნებრივია. როგორც მხატვარი, შემოქმედებითად ვუდგები არა მხოლოდ ტილოსთან მუშაობას, არამედ სამხატვრო სკოლის მართვასაც. დირექტორობა მაძლევს შესაძლებლობას, შევქმნა გარემო, სადაც ახალგაზრდა მხატვრები გაიზრდებიან და განვითარდებიან. მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ყოველდღიური ურთიერთობა, მათი იდეები და ენერგია ჩემთვის შთაგონების წყაროა. მეორე მხრივ, ჩემი მხატვრობა სკოლის ცხოვრებას უფრო ცოცხალს და მრავალფეროვანს ხდის. ასე რომ, ეს ორი საქმე ერთმანეთს ავსებს და ერთ მთლიანობას ქმნის.

- რომელი მიმდინარეობა მოგწონთ, თავად სად მოიაზრებთ თავს? ახალი ტენდენციები და თქვენ...

- თანამედროვე ხელოვნებაში ახალი ტენდენციები ყოველთვის საინტერესოა და მათ განვითარებას დიდი ინტერესით ვაკვირდები. ინოვაცია და ექსპერიმენტები აუცილებელია და ამოძრავებს ხელოვნების სამყაროს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ მხატვრები არ შეუშინდნენ სიახლეებს, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი ხედვა, თუმცა, ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ კლასიკა და ტრადიციული ხელოვნების ღირებულებები. წარსულიდან ვსწავლობთ, ვიღებთ გამოცდილებას და ვპოულობთ გზებს, როგორ შევუთავსოთ ძველი და ახალი ერთმანეთს. სწორედ ამ ბალანსში იბადება უნიკალური და ღირებული ხელოვნება - ის, რაც დროს უძლებს და თაობებს აერთიანებს.

- როგორი იყო თქვენი წარმატების გზა (გამოფენები, კონკურსები, ჯილდოები...)?

- შემოქმედებითი სიხარული ბევრი მქონია, განსაკუთრებით კარგად მახსენდება 1999 წელს ჩემი ნახატების პერსონალური გამოფენა, სადაც მომანიჭეს აჭარის დამსახურებული მხატვრის წოდება, თუმცა ჩემი უპირველესი ჯილდო ხალხის სიყვარულია და ის, რომ ზუსტად იმ საქმით ვარ დაკავებული, რაც მიყვარს და მაინტერესებს.

- როგორ ქმნით ნახატებს? თქვენი შთაგონების წყაროა?..

- ნახატის შექმნა წინასწარ განსაზღვრული არ მაქვს. ხანდახან ყველაფერი 1 წამში იბადება - ფერებს ვხედავ, კომპოზიციას ვგრძნობ და ხელიც თავისით იწყებს მოძრაობას, ზოგჯერ კი ხანგრძლივი ძიებაა საჭირო: ვაკვირდები ბუნებას, ვიხსენებ ემოციებს, ვცდილობ, ფერებით გადმოვცე ის, რაც სიტყვებით ვერ ითქმის. ხან ფუნჯი მთავაზობს მიმართულებას, ხანაც ფერები მკარნახობენ, როგორ გავაგრძელო... ასე რომ, ყველა ნახატი განსხვავებულად იბადება.

- თქვენი ცხოვრება წიგნი რომ იყოს, როგორ დაასათაურებდით?

- თუ ჩემს ცხოვრებას სახელი უნდა დავარქვა, ვფიქრობ, ეს იქნება „ფერების სიმფონია“, მთელი ჩემი გზა სავსეა სხვადასხვა ფერით - ბედნიერებითა და სირთულეებით, სიყვარულითა და დანაკარგით, შთაგონებით და ბრძოლით. როგორც ჩემს ტილოებზე, ასევე, ცხოვრებაშიც ვცდილობ, ყველა ფერი შევინარჩუნო, რადგან თითოეულ მათგანს თავისი დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს.

- ფერი, რომელიც ყველაზე მეტად გიზიდავთ და როგორ ფერში ხედავთ ახლა ადამიანებს?

- როგორც მხატვარი, ვერ გამოვარჩევ ერთ ფერს, რადგან თითოეული თავის როლს თამაშობს ჩემს ნამუშევრებში. რასაც ვიყენებ, ყველა ფერი მნიშვნელოვანია - მზის თბილი ოქროსფერი, ცის სიღრმე, მთების სიდიადე, ბუნების მომწვანო ელფერი, ჩრდილების ლურჯი ტონები... ჩემი მიზანია ფერების ჰარმონიული ბალანსი, რათა ცხოვრება და ემოცია იგრძნობოდეს. ფერები ჩემთვის უბრალოდ პალიტრა კი არა, არამედ ემოციის და გარემოს გადმოცემის საშუალებაა. რაც შეეხება ადამიანებს, მათაც ფერებად ვხედავ, რადგან თითოეულში უნიკალური ენერგია და განწყობა აისახება. ფერები არ არის მხოლოდ ვიზუალური გამოცდილება, არამედ განწყობის, ხასიათისა და შინაგანი სამყაროს ანარეკლია.

- ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო იკიდებს ფეხს ჩვენს რეალობაში. თავად თუ მეგობრობთ მასთან?

- ხელოვნურ ინტელექტს პოზიტიურად ვუყურებ. ეს არის ახალი რეალობა, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელია. ის შემოქმედებითი პროცესის ნაწილი შეიძლება გახდეს - გვეხმარებოდეს იდეების გენერირებაში, ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში და ახალი პერსპექტივების გახსნაში, თუმცა მანქანას ვერ ექნება ადამიანის გრძნობები, სიღრმე და ინდივიდუალური მხატვრული ხედვა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ხელოვნური ინტელექტი ინსტრუმენტია, რომელიც ადამიანის შემოქმედებას კიდევ უფრო განავითარებს, მაგრამ ვერ ჩაანაცვლებს. ხელოვნება ყოველთვის ადამიანური სულის და ემოციის გამოხატულებად დარჩება.

- როცა მშობლიურ თხილნარს სტუმრობთ... მოგონებები, რომლებიც მუდამ თან გახლავთ და შთაგაგონებთ...

- როდესაც სოფელ თხილნარში ჩავდივარ, ეს ბავშვობაში დაბრუნებას ჰგავს. იქ ყველაფერი სითბოთი და მოგონებით არის სავსე. ეს ადგილი ჩემი ფერების, სამყაროს ნაწილია და ხშირადაც ამისახავს შემოქმედებაში. ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და თხილნარში გატარებულმა წლებმა არა მხოლოდ ჩემი ხელოვნების საწყისი კონტურები, არამედ ადამიანად ჩამოყალიბებაც განსაზღვრა. იქ ვისწავლე ბუნების აღქმა, სამყაროს შეგრძნება... თხილნარში ვგრძნობ, რომ თითქოს თავთან ვბრუნდები - იმ პირველ განცდებთან, შემოქმედების სიყვარული რომ გამიღვივა.

- ადამიანი ყველაზე უკეთ ოჯახში შეიცნობაო, ამბობენ. თქვენ როგორ ფიქრობთ? გაგვაცანით თქვენი ოჯახი...

- მეც მგონია, რომ ადამიანი ყველაზე კარგად, სწორედ, ოჯახში იცნობა - იქ, სადაც ნამდვილი ხარ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე. ოჯახი არის ის სივრცე, სადაც სიყვარულიც და გამოცდაც ერთად მოდის. ჩემს ოჯახში ხელოვნება სულ იყო ცხოვრების ნაწილი და საერთო ენა ერთმანეთთან სასაუბროდ, ჩემი მეუღლე ხელოვანი გახლდათ, შვილებიც მხატვრები არიან. ჩვენ შორის კავშირი ყოველთვის ღრმა და შემოქმედებითი იყო. როდესაც ვუყურებ შვილებს, ვხედავ არა მხოლოდ მათ ნიჭსა და შრომას, არამედ იმ ღირებულებებსაც, ოჯახში რომ დავამკვიდრეთ - თავისუფლებას, სილამაზის ძიებას და ერთგულებას ერთმანეთის მიმართ.

- ბათუმი თქვენი თვალთახედვით... ახლა და მომავალში...

- ბათუმი ჩემთვის ცოცხალი, ფერადი და შთამაგონებელი ქალაქია, სადაც ზღვა, მთა და კულტურა ერთმანეთს ერწყმის. ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდება წარსული და მომავალი. ახლა ბათუმი თანამედროვე, დინამიკური ტურისტული ქალაქია, რომელიც იზრდება და ვითარდება, თუმცა ცდილობს, შეინარჩუნოს სითბო და ხასიათი. მომავალში ბათუმს ვხედავ როგორც კიდევ უფრო განვითარებულ კულტურულ ცენტრს, სადაც ხელოვნება, განათლება და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი ურბანული განვითარება იქნება პრიორიტეტი. მინდა, რომ ბათუმი იყოს ადგილი, სადაც ადამიანები არა მარტო დასასვენებლად ჩამოდიან, არამედ ცხოვრობენ და ქმნიან. ვიმედონებ, რომ ეს ქალაქი ყოველთვის შეინარჩუნებს თავის სითბოს, ზღვის სურნელს და იმ განსაკუთრებულ ენერგიას, რომელიც მას ასე უნიკალურს ხდის.

- მთავარი სათქმელი, რომელიც გსურთ გააჟღეროთ გაზეთ „აჭარის“ ამ ნომრიდან?

- გაზეთ „აჭარას“ ვუსურვებ, ყოველთვის იყოს სანდო, ობიექტური და ინოვაციური... მინდა, შეინარჩუნოს თავისი ტრადიციები და ჰყავდეს ერთგული მკითხველი.